ჩირინა ჯგუფი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2018

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....i
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა……..…….....ii-v
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება……...……....6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება…7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება…….....8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება……..……..…….....9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები……..…...10-47
`

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შპს „ჩირინას“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 9 სექტემბერი

რევაზ ვაშაკიძე
დირექტორი

ზაირა გოგოლიძე
მთავარი ბუღალტერი

RSM Georgia
85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

„ჩირინა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჩირინა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ჩირინასგან“ დ მისი შვილობილი კომპანიებისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors
European Business Awards™

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც წარმოდგენილია აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია “) დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:

- გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ კონსოლიდირებ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

„ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფმა მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მმართველობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცის შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სხვა ფირმის აუდიტორების მიერ, რომლებმაც 2019 წლის 15 თებერვალს გამოთქვეს არამოდიფიცირებულლი მოსაზრება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი

- აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

9 სექტემბერი 2019 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს "არ ეს ემ საქართველო"
RSM
202449207
RSM GEORGIA
GEORGIA

შპს „ჩირინა“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში		31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	115,936	128,487
არამატერიალური აქტივები	5	256	240
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	6	9,601	2,468
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	12	2,191	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**127,984**	**131,195**
მიმდინარე აქტივები			
სამშენებლო მასალები	7	6,805	4,746
მარაგები	9	17,609	15,955
ბიოლოგიური აქტივები	10	7,073	6,885
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	11	6,835	6,912
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	12	157	609
ფული და ფულის ექვივალენტები	13	1,070	394
სულ მიმდინარე აქტივები		**39,549**	**35,501**
სულ ატივები		**167,533**	**166,696**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	207,165	188,228
აკუმულირებული ზარალი		(66,485)	(52,372)
სულ კაპიტალი		**140,680**	**135,856**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	14,220	16,049
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	15	1,197	1,532
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**15,417**	**17,581**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	5,683	7,891
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	15	511	511
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	16	5,242	4,857
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**11,436**	**13,259**
სულ ვალდებულებები		**26,853**	**30,840**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**167,533**	**166,696**

რევაზ ვაშაკიძე
დირექტორი

ზაირა გოგოლიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს ჩირინა
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში	გ/შ	**2018**	**2017**
შემოსავალი	18	50,635	48,642
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19	(58,056)	(53,381)
ბიოლოგიურ აქტივებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამართლიანი ღირებულის განსაზღვრით გამოწვეული ცვლილებები თავდაპირველ ღირებულებაში	20	1,301	869
მთლიანი ზარალი		**(6,120)**	**(3,870)**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	824	1,104
მარკეტინგი და რეალიზაციის ხარჯები	22	(2,001)	(1,102)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23	(2,203)	(2,311)
გაუფასურების ანარიცხების ცვლილება	11/12	26	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(1,863)	(1,024)
საოპერაციო ზარალი		**(11,337)**	**(7,203)**
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	24	(1,477)	-
ფინანსური შემოსავალი	25	150	62
ფინანსური ხარჯები	25	(1,157)	(905)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადებამდე		**(13,821)**	**(8,046)**
მოგების გადასახადის ხარჯი	26	-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**(13,821)**	**(8,046)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**(13,821)**	**(8,046)**

რევაზ ვაშაკიძე
დირექტორი

ზაირა გოგოლიშე
მთავარი ბუღალტერი

შპს ჩირინა
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში		საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**180,587**	**(44,326)**	**136,261**
		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	(8,046)	(8,046)
კაპიტალში შენატანი	-	7,641	-	7,641
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**188,228**	**(52,372)**	**135,856**
ფასს 9-ის გავლენა	11/12		(292)	(292)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			**(52,664)**	**135,564**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(13,821)	(13,821)
კაპიტალში შენატანი	17	18,937	-	18,937
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**207,165**	**(66,485)**	**140,680**

რევაზ ვაშაკიძე

დირექტორი

ზაირა გოგოლიძე

მთავარი ბუღალტერი

შპს ჩირინა
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში	გ/შ	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(13,821)	(8,046)
კორექტირებები:	4/5	-	
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	16,605	15,204
ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	11/12	(1,301)	(869)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება		(26)	-
მარაგების გაუფასურება	-	-	44
ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	4	112	(175)
ფინანსური შემოსავალი	25	(150)	(40)
ფინანსური ხარჯი	25	1,157	905
საკურსო სხვაობა	23	240	15
სხვა არაფულადი საოპერაციო ხარჯები	24	474	14
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		**3,290**	**7,052**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	11	(51)	2,329
ცვლილებები მარაგებში	9	(3,131)	(4,322)
ბიოლოგიური აქტივების ცვლილება	10	1,489	(133)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში	16	(126)	(2,236)
ცვლილება შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელ ვალდებულებებში	15	335	-
მიღებული პროცენტი	12	49	40
გადახდილი პროცენტი	14	(1,551)	(1,024)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		**(2,986)**	**(5,346)**
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**305**	**1,706**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები	4/7	(11,952)	(11,537)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები		95	543
არამატერიალური აქტივების შესყიდვები	5	(74)	(90)
შვილობილი კომპანიების შეძენისთვის გადახდილი თანხები		(540)	(270)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	10	(1,757)	(587)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(14,228)**	**(11,941)**
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
მიღებული სესხები	12	2,260	8,683
სესხის გადახდა	12	(6,668)	(5,943)
კაპიტალში განხორციელებული შენატანები	15	18,937	6,623
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**14,529**	**10,381**
საკურსო ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		70	(101)
ფულისა და ფულადი ექვივალენტების წმინდა შემცირება		**676**	**45**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		394	**349**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		**1,070**	**394**

რევაზ ვაშაკიძე
დირექტორი

ზაირა გოგოლიძე
მთავარი ბუღალტერი

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

"ჩირინა" (შემდგომში „მშობელი კომპანია") არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მშობელი კომპანია დაარსდა 1996 წელს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია გუდიაშვილის ქუჩა №9, თბილისი, საქართველო.

ჯგუფი ვერტიკალურად მოიცავს მეფრინველეობისა და ბროილერების ფერმებს საკვებ ქარხანას, მარცვლეულის საშრობს, ხორცის გადამამუშავებელი ქარხანა, ინკუბატორს და ვეტერინარულ ლაბორატორია. ჯგუფი ასევე ფლობს ვაშლის ბაღებს, ხილის შენახვისა და დახარისხების საშუალებებს. ჯგუფი ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე ყიდის პროდუქტებს (ქათმის ხორცი, ინკუბატორის კვერცხი, ქათმის ძეხვეული და ვაშლი) რამდენიმე სადისტრიბუციო კომპანიის მეშვეობით.

ჯგუფს მთლიანად ფლობს და აკონტროლებს ბ-ნი რევაზ ვაშაკიძე.

მშობელი კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

საწარმო	ბიზნესი	31 დეკემბერი **2018**	31 დეკემბერი **2017**
შპს ბროილერი K	ბროილერის ფერმის ოპერატორი	100%	100%
შპს ბროილერი L	ბროილერის ფერმის ოპერატორი	100%	100%
შპს აგრომაქსბროილერი	ბროილერის ფერმის ოპერატორი	100%	100%
შპს აგროპროცესინგი	ზეთის გადამუშავება	0%	90%

შპს ბროილერი K და შპს ბროილერი L-ს იურიდიული მისამართია თამარაშვილის ქუჩა №4ა, თბილისი 0162, საქართველო. შპს აგრომაქსბროილერის იურიდიული მისამართია სართიჭალა, გარდაბანი 1324, საქართველო. შპს აგროპროცესინგის იურიდიული მისამართია გუდიაშვილის ქუჩა №9 თბილისი, საქართველო.

შეძენამდე შვილობილის კომპანიების საქმინობას წარმოადგენდა საბროილერო ფერმების გაქირავება. მშობელი კომპანიას შეძენამდე საოპერაციო ლიზინგით აღებული ქონდა საბროილერო ფერმები. შეძენის შემდგომ საოპერაციო ლიზინგი არ შეწყვეტილა და განაგრძობს საბროილერო ფერმების გამოყენებას.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს

ზეგავლენის შესახებ, ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი"), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ინვესტიციას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ჯგუფს გააჩნია ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით; ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება; და გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით. მატერიალური უფლებების არსებობა და ეფექტი, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლებები გათვალისწინებულია როცა ხდება იმის შეფასება, აქვს თუ არა ჯგუფს სხვა საწარმოზე გავლენა. იმისათვის, რომ ჯგუფს გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, მას უნდა გააჩნდეს ძალაში შესული (მოქმედი) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს. ინვესტორი შეიძლება არ იყოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, მაგრამ გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს, საკმარისია თუ არა მისი ხმის უფლებები იმისთვის, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას ანიჭებდეს, ჯგუფი განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მას დე-ფაქტო უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე. დამცავი უფლებები დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოს საქმიანობების ძირეულ ცვლილებებთან, ან განკუთვნილია განსაკუთრებულ გარემოებებში გამოყენებისთვის. თუმცა, ყველა უფლება, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ გარემოებებში, ან პირობითია და დამოკიდებულია გარკვეულ მოვლენებზე, არ წარმოადგენს დამცავ უფლებას. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შეძენის თარიღი) და ტოვებს ჯგუფს კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

შეძენის მეთოდის აღრიცხვა გამოიყენება იმისთვის, რომ აღირიცხოს შვილობილი კომპანიების შეძენა. იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივები, აღებული ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას იზომება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის დღეს, რომელიმე არაკონტროლირებადი წილის მოცულობის მიუხედავად.

გუდვილი ფასდება შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული მთლიანი კომპენსაციიდან შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების დაქვითვით, შეძენილ კომპანიაში არამაკონტრელებელი წილის მოცულობით და შეძენის თარიღამდე ფლობილ შეძენილ

კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა (`უარყოფითი გუდვილი") აღიარებულია მოგება-ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს გამოავლინა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და ყველა ვალდებულება და აღებული პირობითი ვალდებულებები, და მიმოიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

როდესაც ოპერაცია ან მოვლენა არ აკმაყოფილებს ბიზნეს კომბინაციისას განმარტებას, აქტივის ან აქტივების ჯგუფის გამო, რომელიც არ აკმაყოფილებს ბიზნესის განსაზღვრას, მას უწოდებენ „აქტივის შეძენას". ასეთ ვითარებაში, შემსყიდველი:

- აღიარებს შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებს (მათ შორის ისეთ აქტივებს რომლებიც აკმაყოფილებენ არამატერიალური აქტივების ან/და ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს);
- ანაწილებს შეძენის ფასს იდენფიტიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებზე შეძენის დღისთვის არსებულ სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

ასეთი ოპერაცია ან მოვლენა არ წარმოშობს გუდვილს ან მოგებას შეძენისას.

ჯგუფი შეძენის თარიღისთვის აფასებს შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის კომპონენტებს, რომლებიც არსებული (ძალაში შესული) საკუთრების წილებია და მფლობელებს შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიღების უფლებას ანიჭებს მისი ლიკვიდაციის დროს: ა) რეალური ღირებულებით; ან ბ) როგორც ძალაში შესული ინსტრუმენტების პროპორციული წილი შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებთან დაკავშირებით აღიარებულ თანხებში. არამაკონტროლებელი წილის ყველა სხვა კომპონენტი უნდა შეფასდეს მათი შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით.

შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული კომპენსაცია ფასდება დათმობილი აქტივების, გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების და წარმოქმნილი ან აღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის პირობითი უზრუნველყოფიდან აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ გამორიცხავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურებები. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯები იქვითება კაპიტალიდან; ვალის გაცემასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ოპერაციების ხარჯები იქვითება ვალის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა ოპერაციების ხარჯი უკვე გაწეულია.

შიდაჯგუფური ოპერაციები, ნაშტები და არარეალიზებული მოგება ჯგუფს შიგნით ელიმინირდება. არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირდება მანამ სანამ შესაძლებელია ხარჯების დაქვითვა. მშობელი კომპანია და შვილობილი კომპანიები იყენებენ ერთიან საარვრიცხვო პოლიტიკას.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საბოლოო შედეგის ან კაპიტალის ნაწილი რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს ჯგუფი. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2.1 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფის მიერ დანერგილ იქნა ფასს 9 რომელიც გამოიცა 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ. სტანდარტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, რომელმაც გამოიწვია ჯგუფის პოლიტიკის ცვლილება და გააჩინა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების კორექტირების საჭიროება. ჯგუფის მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში.

ფასს 9-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მიდგომა არ მომხდარიყო ჯგუფის შესადრისი მონაცემების კორექტირება და ფინანსური ანგარიშგებების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება რომელიც გამოწყვეული სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა ჯგუფის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ფასს 7 ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადრისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას.

ფასს 9-ის დანერგვას გავლენა აქვს მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე კლასიფიცირებასა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრაზე ისევე როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხებზე. ფასს 9 ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სხვა სტანდარტებს როგირიცაა ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს

მენეჯმენტმა წარმოადგინა განამრტებითი შენიშვნები რომლებიც უკავშირდება ჯგუფის მიერ ფასს 9-ის დანერგვას. დეტალური ინფორმაცია ფასს 9-ის გავლენის შესახებ (ისევე როგორც ბასს 39 ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე წარმოდგენილია ქვემოთ

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიისა და საბალანსო მაჩვენებლის ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	ბასს 39		ფასს 9	
	კატეგორიის საზომი	თანხა	კატეგორიის საზომი	თანხა
ფული და ფულის ექვივალენტები	ამორტ. ღირ.	394	ამორტ. ღირ.	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	ამორტ. ღირ.	6,912	ამორტ. ღირ.	6,649
გაცემული სესხები	ამორტ. ღირ.	609	ამორტ. ღირ.	580
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	ამორტ. ღირ.	5,368	ამორტ. ღირ.	5,368
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	ამორტ. ღირ.	1,532	ამორტ. ღირ.	1,532
მიღებული სესხები	ამორტ. ღირ.	23,940	ამორტ. ღირ.	23,940
სულ				

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ")

მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და ჯგუფი გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც იყო ამის ობიექტური მტკიცებულება.

ბ) ჯგუფმა ჩაატარა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და ფულადი სახსრების მახასიათებლების დეტალური ანალიზი.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ ბასს 39 ისა და ფასს 9-ის კატეგორიების მიხედვით რომელიც დაინერგა 2018 წლის 1 იანვრიდან.

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით **1.1.2018** მდგომარეობით	რეკლასი-ფიკაცია	კორექ-ტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით **1.1.2018** მდგომარეობით
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	394			394
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	6,912		(263)	6,649
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
გაცემული სესხები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	609		(29)	580
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	5,368			5,368
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	1,532			1,532
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
მიღებული სესხები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	23,940			23,940
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				

გ) ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფასს 9 -ის დანერგვით გამოწვეული ცვლილების შესახებ ფინანსური აქტივების გაუფასურების ანრიცხებში:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით **1.1.2018** მდგომარეობით	რეკლასიფ.	კორექტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით **1.1.2018** მდგომარეობით
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სეხები და მოტხოვნები (ბასს 39)/ ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირ. ფასს 9				
გაცემული სესხები	-	-	(29)	(29)
დებიტორული დავალიანება	-	-	(263)	(263)

ჯამი	-	-	(292)	(292)

როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ნაჩვენები ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საზომი კატეგორიები და მოხდა მათი კლასიფიცირება მანამდე არსებულ კატეგორიაში, თუმცა განსხვავებულად იქნა გამოანგარიშებული გაუფასურების ანარიცხი, ანარიცხების შექმნა მოხდა ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებულ იქნა „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და დაინერგა ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების ერთიან მოდელს. სტანდარტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიდგომა, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. სტანდარტი ადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლის აღიარების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის განსაზღვრას ტრანზაქციის ღირებულების პროპორციულად. სტანდარტის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია განცალკევებულად როგორც ხარჯი, ნაცვლად იმისა, რომ დაკორექტირებულიყო შემოსავალი. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები, საკონტრაქტო აქტივები ან მოთხოვნები, კლასიფიკაცია დამოკიდებულია ჯგუფის მხრიდან საკონტრაქტო მოთხოვნების შესრულებასა და მომხმარებლის მხრიდან საზღაურის გადახდასთან. მომხმარებლის მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ისევე როგორც კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ექვემდებარება განცალკევებული კრიტერიუმით წარმოდგენას და კაპიტალიზირდება როგორც აქტივი, რომელიც ამორტიზირდება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში.

ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნა ფასს 15 რეტროსპექტული მიდგომით.

ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

2.2. სააღრიცხო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ჯგუფის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება ჯგუფის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება ჯგუფის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები 10-20 წელი;
- ნერგები და მანქანა-დანადგარები 8-13 წელი;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 10 წელი
- სხვა 5-13 წელი;

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

- მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიები 25 წელი;
- კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა 5 -7 წელი;
- სხვა აქტივები 5 -7 წელი;

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებით. ყოველი საანაგრიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე კომპანიების გაყიდვისასსხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც ჯგუფის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. ჯგუფის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის ჯგუფის ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომედევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით ჯგუფი აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიით სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს, ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, ჯგუფი განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულები პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან,დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

ჯგუფი წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, როლებიც ჯგუფის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>181
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღირარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესახ ხედება შემდეი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან

2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული

რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.67	3.07	3.39
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.53	2.99	3.38
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.50	2.83	3.23

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახდი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის,

შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.
თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

ბიოლოგიური აქტივები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ჯგუფის ბიოლოგიური აქტივებში შედის ნაყოფის მომცემი კულტურა - ხეხილი და ცოცხალი ფრინველი (მოიცავს როგორც სადედე, ასევე მოზარდს). კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მსხმოიარე მცენარეები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები, ხოლო ცოცხალი ფრინველი -როგორც მიმდინარე აქტივი. ნაყოფის მომცემი კულტურა არის ცოცხალი მცენარე რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად, მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწევს ნაყოფს და მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა. ნაყოფის მომცემი კულტურები იმავე მეთოდით აღირიცხება, როგორც საწარმოს მიერ შექმნილი ძირითადი საშუალებები, იმ მომენტამდე, სანამ ლოკაციაში და პირობებში, რომელიც აუცილებელია მათ გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

მოსალოდნელია, რომ ჯგუფის ხეხილის ხეები ნაყოფს გამოიღებს დარგვიდან სამ წელიწადში, მაგრამ ისინი მიაღწევენ მაქსიმალურ მოსავლიანობას დარგვიდან შვიდი წლის შემდეგ. სიმწიფის მიღწევის შემდეგ, ნებისმიერი შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზირდება, იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება მომავალ ეკონომიკურ სარგებელი. ხეხილის ხეების ცვეთა გაანგარიშდება პირდაპირი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გაანგარიშებული 25 წლიანი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში.

ჯგუფის სოფლის მეურნეობის პროდუქციია მოიცავს ძირითადად ვაშლს. მოსავლის აღების შემდეგ, სოფლის მეურნეობის პროდუქციია აღირიცხება როგორც გასაყიდად გამიზნული მარაგი და თავდაპირველად აღირება ხდება გაყიდვისთვის შეფასებული დანახრჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით.
ამ კულტურების სეზონური ხასიათის გამო, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯგუფს სრულად აქვს აღებული მოსავალი. სოფლის მეურნეობის პროდუქციია ინახება ცივ საწყობებში პერიოდის ბოლოს.
ცოცხალი ფრინველი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. ცოცხალი ფრინველის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, რადგან ბაზრზე არ არის ხელმისაწვდომი სადედე და მოზარდი ქათმები და ბორილერები, რომელთაც აქვთ იგივე ფიზიკური მდგომარეობა- წონა, ასაკი, ჯიში, როგორც ეს ჯგუფის ცოცხალ ფრინველებს. ცოცხალი ფრინველის სამართლიანი ღირებულება ეფუძნება კვერცხების მოსალოდნელ რაოდენობას მათი სასაციცოცხლო ციკლის განმავლობაში, ხორცის მოსალოდნელ რაოდნეობას დაკვლის მომენტში, მოსალოდნელ გაყიდვის ფასს, პირუტყვის საშუალო მოსალოდნელ მწარმოებლურობას და წარმოების მომავალ ხარჯებს. დისკონტის განაკვეთი განსაზღვრულია წინასწარი დადგენილი საბაზრო განაკვეთით დაბეგვრამდე. გაყიდვის ხარჯები მოიცავს ყველა დანახარჯს, რომელიც აუცილებელი იქნება აქტივების გასაყიდად. ყველა მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ბიოლოგიური

აქტივების თვითღირებულებასა და გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიან ღირებულებას შორის აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში განცალკევებულად, „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველად აღიარების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი“ წმინდა მოგების ხაზის ზემოთ.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერილაური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და საწარმოო ზედნადებ ხარჯებს, მაგრამ გამორიცხავს სესხის ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდგომ.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

სახელფასო ხარჯები და მათთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და შვებულება, პრემია და სხვა სარგებელი დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც გაწეულია მომსახურებას აჯგუფი არ ხარჯავს ხარჯებს პენსიის ან სხვა დასაქმების შეღავათებთან დაკავშირებით. ჯგუფს არ წარმოექმნება რაიმე დანახარჯი მისი თანამშრომლებისთვის პენსიების ან სხვა დასაქმების შემდგომ სარგებელთან დაკავშირებით.

სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო დახმარება აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, როცა არსებობს გონივრული გარანტია, რომ დახმარება მიღებული იქნება და ჯგუფი შეასრულებს მასთან დაკავშირებულ ყველა პირობას.
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება შეტანილია გრძელვადიან ვალდებულებებში როგორც გადავადებული შემოსავალი და დაკრედიტებულია მოგებასა ან ზარალში პირდაპირი მეთოდის საფუძველზე შესაბამისი აქტივების მოსალოდნელი საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში. ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება გადავადებულია და აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში პუნქტში „წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯები," იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ისინი დაემთხვას იმ ხარჯებს, რომელთა კომპენსაციისთვისაც ისინია გამიზნული.

3 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. ჯგუფმა შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მენეჯმენტის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს ჯგუფი, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვევო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვევო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობები	საწარმოო მანქანა-დანადგარები	ავტომობილები	მსხმოიარე მცენარეები	სხვა	დაუმონტაჟებელი მოწყობილობა & CIP*	სულ
თვითღირებულება							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**88,979**	**61,585**	**6,940**	**1,491**	**2,909**	**3,272**	**165,176**
შემოსულობები	602	954	411	132	10	8,071	10,180
შემოსულობები შვილობილი კომპანიების შეძენის გამო	5,926	50	9		462	-	6,447
შიდა მოძრაობა	1,904	6,011	252	-	514	(8,681)	-
გასვლა	(7)	(14)	(609)	-	(2)	-	(632)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**97,404**	**68,586**	**7,003**	**1,623**	**3,893**	**2,662**	**181,171**
შემოსულობები	933	642	152	1	42	987	2,757
შიდა მოძრაობა	3,408	1,337	20	1,183	58	(2,592)	3,414
გასვლა	(447)	(472)	(275)	(1,157)	(7)	-	**(2,358)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**101,298**	**70,093**	**6,900**	**1,650**	**3,986**	**1,057**	**184,984**
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(12,665)**	**(22,078)**	**(1,776)**	-	**(1,264)**	-	**(37,783)**
ცვეთის ხარჯი	(6,055)	(7,861)	(675)	-	(574)	-	(15,165)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	6	256	-	2	-	264
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(18,720)**	**(29,933)**	**(2,195)**	-	**(1,836)**	-	**(52,684)**
ცვეთის ხარჯი	(6,781)	(8,677)	(690)	-	(540)	-	(16,688)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	198	121	-	5	-	324
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(25,501)**	**(38,412)**	**(2,764)**	-	**(2,371)**	-	**(69,048)**
საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**76,314**	**39,507**	**5,164**	**1,491**	**1,645**	**3,272**	**127,393**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**78,684**	**38,653**	**4,808**	**1,623**	**2,057**	**2,662**	**128,487**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**75,797**	**31,681**	**4,136**	**1,650**	**1,615**	**1,057**	**115,936**

*CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ძირითადად ბროილერის ფერმებსა და მსხმოიარე მცენარეებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადაიქცევა შენობებად. დაუმთავრებელი მშენებლობაზე დაკაპიტალიზირებული სესხის პროცენტი შეადგენს 0 ლარს (2017: 286 ათასი ლარი).

2018 წლის განმავლობაში დაუმთავრებელი მშენებლობიდან მიწაზე და შენობებზე გადატანილია 1,723 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო საწარმოო მანქანა-დანადგარებზე - 847 ათასი ლარი.
დაუმთავრებელი მშნებლობის ნაშთი მოიცავს ბროილერის ფერმებისთვის მიწის გრუნტის დამუშავებაზე გაწეულ ხარჯებს.
ნაყოფის მომცემი კულტურები მოიცავს მოუმწიფებელ ვაშლის ხეებს. ჯგუფს არ გააჩნია სიმწიფის ფაზაში მყოფი ვაშლის ხეები.
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული შენობების, მიწის და მოწყობილობის ღირებულება შეადგენდა 25,980 ათას ლარს (2017: 25,692 ათასი ლარი) იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 13.

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით სრულად ნაცვეთი ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 951 ათას ლარს (2017: 456 ათასი ლარი).

5. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	ლიცენზიები, სერთიფიკატები და სავაჭრო ნიშნები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი **2016** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	101	116	21	239
შესყიდვები	39	51	-	90
ნაშთი **2017** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**140**	**167**	**21**	**329**
შესყიდვები	28	46	-	74
ნაშთი **2018** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**168**	**213**	**21**	**403**
დაგროვილი ამორტიზაცია				
ნაშთი **2016** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**(21)**	**(27)**	**(1)**	**(50)**
ამორტიზაციის ხარჯი	(17)	(18)	(3)	**(38)**
ნაშთი **2017** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**(38)**	**(45)**	**(4)**	**(89)**
ამორტიზაციის ხარჯი	**(23)**	**(32)**	**(3)**	**(58)**
ნაშთი **2018** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**(61)**	**(77)**	**(7)**	**(147)**
საბალანსო ღირებულება				

ნაშთი **2016** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	80	89	20	189
ნაშთი **2017** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	102	122	17	240
ნაშთი **2018** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	**107**	**136**	**14**	**256**

6. ავანსები

ავანსების ნაშთიდან 7,851 ათასი ლარი წარმოადგენს ახალი ბროილერის ბროილერის ფერმისთვის შესაძენ კონსტრუქციებს და აღჭურვილობებისთვის გადახდილ თანხებს. მიღებული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 29 განმარტებით შენიშვნაში.

7. სამშენებლო მასალები

სამშენებლო მასალებში შედის ჯგუფის შენობების და ბროილერის ფერმების მიმდინარე/მომავალი სამუშაოებისთვის შესყიდული მასალები. ყველა სამშენებლო მასალა კაპიტალიზდება ძირითად საშუალებებში.

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
სამშენებლო და სარემონტო მასალები	4,470	2,860
ძირითადი საშუალებების მარაგ-ნაწილები	923	840
ფერმის აღჭურვილობა	763	353
სწრაფცვეთადი სამშენებლო-სარემონტო ინვენტარი	355	408
სათადარიგო ნაწილები	295	285
სულ	**6,805**	**4,746**

8. მარაგები

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
ნედლეული	13,712	11,704
მზა პროდუქცია	1,979	2,702
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	715	343
საწარმოო მარაგები	645	644
უნიფორმა და სპეციალური აღჭურვილობა	169	96
სხვა მარაგები	389	466
სულ მარაგები	**17,609**	**15,955**

ნედლეული მოიცავს საკვებს (სიმინდი, ხორბალი, ზეთი და სხვა), ტარა და შესაფუთ მასალებს, ვაქცინებს და სხვა მარაგებს, რომლებიც საჭიროა ბროილერის წარმოებისთვის. მზა პროდუქცია მოიცავს ქათმის ხორცს და მასთან დაკავშირებულ პროდუქტს. სოფლის მეურნეობის პროდუქცია მოიცავს შეძენილ და წარმოებულ ვაშლს და კომპოსტს.

ყველა მარაგი, გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა, დაკავშირებულია ხორცის წარმოებასთან.

სასაქონლო მარაგები აღიარებულია როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება პერიოდის განმავლობაში, რომელიც წარმოადგენს გაყიდვების ხარჯებს, რაც შეადგენს 30,193 ათას ლარს (2017: 23,606 ათასი ლარი).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	**2018**	**2017**
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**343**	**339**
სამართლიანი ღირებულების ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარების შემდგომ	214	336
გაყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება	(300)	(332)
სხვა ცვლილება	(45)	-
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**212**	**343**
შეძენილი ვაშლი	213	-
კომპოსტი	290	-
სულ მარაგები	**715**	**343**

9. ბიოლოგიური აქტივები

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
მოზარდი ქათამი	2,667	2,574
სადედე ქათამი	2,608	2,477
სულ მიმდინარე ბიოლოგიური აქტივი	**5,275**	**5,051**
ბროილერის ქათამი	1,703	1,742
საინკუბაციო კვერცხი	94	92
სულ წარმოებული ბიოლოგიური აქტივი	1,797	**1,834**
სულ ბიოლოგიური აქტივი	**7,073**	**6,885**

ბიოლოგიური აქტივების მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**6,885**	**5,887**
სამართლიანი ღირებულების ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარების შემდგომ	(267)	865
ზრდა შესყიდვის გამო	1,941	1,639
ზრდა გაწეული დანახარჯების გამო	29,490	30,928
ზრდა საინკუბაციო პერიოდში	5,478	4,525
შემცირება გაყიდვის გამო	(36,140)	(36,612)
სხვა ცვლილება	(314)	(347)
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,073**	**6,885**

ბიოლოგიური აქტივების მოძრაობა 2018 წლის განმავლობაში სახეობების მიხედვით წარმოადგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	მოზარდი ქათამი	სადედე ქათამი	ბროილერის ქათამი	სულ
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**2,574**	**2,477**	**1,742**	**6,793**
სამართლიანი ღირებულების ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარების შემდგომ	(41)	(240)	14	(267)
ზრდა გაწეული დანახარჯების გამო	3,885	3,644	29,380	36,909
შემცირება გაყიდვის გამო	(3,751)	(3,273)	(29,433)	(36,457)
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,667**	**2,608**	**1,703**	**6,978**

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მართვის სტრატეგია

ჯგუფი ექვემდებარება ფინანსურ რისკებს, რომლებიც გამოწვეულია ქათმის ხორცის ფასების ცვლილებით. ჯგუფი არ ითვალისწინებს, რომ მომავალში სავარაუდოა ქათმის ხორცის ფასების მნიშვნელოვნი კლება და, შესაბამისად, არ შესულა დერივატივის ან სხვა საკონტრაქტო გარიგებაში, რათა ემართა ქათმის ხორცის ფასების შემცირება. ჯგუფი რეგულარულად განიხილავს თავის ხედვას ქათმის ხორცის ფასებს, აქტიური ფინანსური რისკების მართვის საჭიროების გათვალისწინებით.

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	5,929	5,325
სხვა ფინანსური დავალიანებები	686	642
გაუფასურების ანარიცხი	(567)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,048	5,967
ავანსები	532	572
წინასწარ გადახდილი და დაბრუნებადი გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	211	373
სხვა დებიტორული დავალიანებები	44	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**6,835**	**6,912**

მოთხოვნების ცხრილი, ვადაგადაცილებული დღეების მითითებით გაუფასურების გარეშე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო რისკის %	**2%**	**5%**	**25%**	**50%**	**100%**	
დებიტორული დავალიანებები	6,261	-	47	96	211	6,615
გაუფასურების ანარიცხი	(296)	-	(12)	(48)	(211)	(567)
წმინდა დებიტორული დავალაინებები	**5,965**	**-**	**35**	**48**	**-**	**6,048**

მოთხოვნების ცხრილი, ვადაგადაცილებული დღეების მითითებით,გაუფასურების გარეშე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო რისკის %	2%	5%	25%	50%	100%	
დებიტორული დავალიანებები	5,820	-	-	2	145	5,967
გაუფასურების ანარიცხი	(117)	-	-	(1)	(145)	(263)
წმინდა დებიტორული დავალაინებები	**5,663**	-	-	**1**	-	**5,704**

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
ფასს 9-ის გავლენა	(263)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(263)**
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	(355)
ჩამოწერილი დავალიანების რეზერვში გადატანა	(418)
საეჭვო მოთხოვნებიდან შემოსავლები	469
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(567)**

11. დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები	2,307	552
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	38	22
დარიცხული პროცენტი	120	34
გაუფასურების ანარიცხი დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებზე	(116)	-
გაუფასურების ანარიცხი თანამშრომლებზე გაცემულ სესხებზე	(1)	-
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	**2,348**	**609**

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ფასს 9-ის გავლენა	(29)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(29)**
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	(88)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(117)**

დაკავშირებულ კომპანიაზე გაცემული სესხები წარმოადენს საშეღავათო პერიოდით გაცემულ სესხებსა და საკრედიტო ხაზს 11% და 12% საპროცენტო სარგებლით, რომელთა დაფარვის ვადა არის 2020 წელი. სესხების ხელშეკრულებების თანახმად სარგებლის პროცენტის გადახდა მოხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირი თანხის გადახდა საშეღავათო პერიოდის შემდგომ.

თანამშრომლებზე გაცემული სესხები მოიცავს მათზე გაცემულ სესხებს საშუალოდ 11%-ში, რომლეთა ძირი თანხის გაქვითვა ხორციელდება ხელფასიდან ვადის ამოწურვამდე (2019 წელი).

12. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,032	392
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	38	2
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**1,070**	**394**

ჯგუფის საკრედიტო რისკის განფენილობის და სენსიტიურობის ანალიზის განმარტებულია 26-ე შენიშვნაში.

13. სესხები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები საფინანსო ინსტიტუტებიდან	19,826	23,863
სხვა სესხები	77	77
სულ სესხები	**19,903**	**23,940**

ჯგუფის სესხები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები:		
- ქართულ ლარში	6,619	7,552
- აშშ დოლარში	4,108	16,338
- ევროში	9,176	-
სულ სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,903**	**23,940**

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხის პროცენტი	66	46
მოკლევადიანი სესხები	5,617	7,845
გრძელვადიანი სესხები	14,220	16,049
სულ სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,903**	**23,940**

ბანკის სესხები დასაფარია 2019-2022 წლამდე წლიური საშუალო 6,2% -10 % (2017: 11% წლიურად). ძირი თანხისა და საპროცენტო ხარჯის გადახდები ხორციელდება ყოველთვიურად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

არ არის არსებითი სხვაობა სესხების სამართლიანი ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, რადგან დისკონტის ეფექტი არ არის მნიშვნელოვანი.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია სესხების ანალიზი და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

'000 ლარი	2018	2017
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**23,940**	**17,620**
შვილობილის კომპანიების შეძენის გამო ბალანსის ზრდა	-	3,537
წლის განმავლობაში მიღებული სესხი	2,260	8,683
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	2,466	1,414
ძირითად საშუალებებზე დაკაპიტალიზირებული სესხის პროცენტი	-	286
სესხის ძირი თანხის გადახდა	(6,668)	(5,943)
სესხის პროცენტის გადახდა	(1,551)	(1,024)
სახელმწიფოსგან დაფინანსებული სესხის პროცენტი	(934)	(625)
საკურსო სხვაობა	390	(22)
სხვა არაფულადი მოძრობა	-	14
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,903**	**23,940**

14. შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები

2017 წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ შეიძინა შპს ბროილერ ლ-ის, შპს ბროილერ კ-ს და შპს აგრომაქს ბროილერის 100%-იანი წილი, 2,924 ათას ლარად. მთლიანად შპს აგრომაქსბრიოლერისთვის თანხა გადასახდელია 2022 წლის იანვარში, ხოლო 2023 წლის ივლისში შპს ბროილერ K-სა, შპს ბროილერ L- თვის. 2018 წელს ყოფილი მეწილეებისთვის გადახდილია 540 ათასი ლარი (2017: 270 ათასი ლარი).

ვალდებულება 31 დეკემბრს 2017 წლის ბოლოს შეადგენადა 2,043 ათას ლარს (მთლიანი ღირებულება 2,924 ათასი). რომელიც დისკონტირებულია საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 11,5%. 2018 წლის განმავლობაში დაფარულ დავალაინება შეადგენს 540 ათას ლარს (2017: 270 ათასი ლარი).

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოკლევადიანი ვალდებულება	511	511
გრძელვადიანი ვალდებულება	1,197	1,532
სულ	**1,708**	**2,043**

საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 205 ათასი ლარი (2017: 116 ათასი ლარი).

შვილობილი კომპანიების აქტივები, ვალდებულებები და ნეტო აქტივები წარმოდგენილია ქვემოთ:

	„ბროილერი ლ“	„ბროილერი კ“	“აგრომაქს ბროილერი“	სულ
მთლიანი აქტივები	1,082	1,124	2,119	4,325

	„ბროილერი“	„ბროილერი“	“აგრომაქს ბროილერი“	სულ
მთლიანი ვალდებულებები	1,125	1,115	2,114	4,354
შვილობილი კომპანიების წმინდა აქტივები შეძენის დღეს	**(43)**	**9**	**5**	**(29)**
შვილობილი კომპანიების შესყიდვის ფასი	912	912	1,100	2,924
დისკონტის თანხა	246	246	236	728
დისკონტირებული ვალდებულება	**666**	**666**	**864**	**2,196**
აქტივებზე გადასანაწილებელი თანხა	(708)	(657)	(859)	(2,224)

მთავარი მიზეზი იმისთვის, რომ შპს ჩირინას შეეძინა ეს საწარმოები იყო მის ახლოს მდებარე ბროილერის ფერმებზე საკუთრების უფლების მოპოვება. ეს გარიგება თავისი ხასიათით იყო უფრო აქტივების შეძენა, ვიდრე ბიზნეს კომბინაცია, რადგან შეძენილი შვილობილი კომპანიები ფლობდნენ მხოლოდ ბროილერის ფერმას. ბიზნეს ოპერაციების აღწერაში, რომელიც მოიცავს პროცესსა და შედეგს, გამოვლინდა კომპონენტების არარსებობა, რის გამოც ეს გარიგება კლასიფიცირებულია როგორც აქტივის შეძენა.

ვინაიდან აღნიშნული ოპერაცია თავისი შინაარსით წარმოადგენდა აქტივების შეძენას და არა ბიზნეს კომბინაციას, 2,224 ათასი ლარი - სხვაობა შვილობილი კომპანიების შეძენის თანხასა და ნეტო აქტივებს შორის შეძენის თარიღში აღიარებულია როგორც აქტივი - მიწა და შენობები.

გარდა ამისა, მშობელმა კომპანიამ 2018 წელს შვილობილ კომპანიებში დამატებით განახორციელა 911 ათასი ლარის ფულადი შენატანი (2017: 1,096 ათასი ლარი).

15. სავაჭრო და სხვა დავალიანებები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	5,170	4,581
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადასახდელი ვალდებულება	-	270
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტოული დავალიანება	5,170	4,851
ვალდებულებები შვილობილი კომპანიების მიმართ	-	-
გადასახდელი ხელფასები	14	6
საგადასახადო ვალდებულებები	58	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტოული დავალიანება	**5,242**	**4,857**

16. საწესდებო კაპიტალი

2013 წლის 9 მაისით დათარიღებული სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 188,228 ათას ლარს. 2018 წლის განმავლობაში მფლობელის მიერ განხორციელბული ფულადი შენატანები შეადგენს 18,936 ათას ლარს (2017: 7,461 ათასი ლარი) ხოლო არაფულადი შენატანები 6 ათას ლარს.

17. შემოსავალი

'000 ლარი	2018	2017
მთლიანი გაყიდვები	51,640	48,642
გაყიდვების უკან დავრუნება	(1,005)	-
სულ შემოსავალი	**50,635**	**48,642**

'000 ლარი	2018	2017
ადგილობრივი გაყიდვები	49,301	47,531
ექსპორტი	1,334	1,111
სულ შემოსავლები	**50,635**	**48,642**

მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	2018	2017
ქათმის ხორცი	47,445	46,255
საინკუბაციო კვერცხი	2,004	665
ვაშლი	402	511
სამომხმარებლო კვერცხი	127	104
სოსისი	39	513
სხვა შემოსავალი დაკავშირებული ქათმის ხორცთან	618	594
სულ შემოსავალი	**50,635**	**48,642**

18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

'000 ლარი	2018	2017
გამოყენებული ნედლეული და მასალები	30,193	23,553
ცვეთის ხარჯი	16,169	14,801
კომუნალური ხარჯები	3,238	7,154
სახელფასო და სხვა ხარჯები	4,584	5,287
ნაშთებს შორის ცვლილება	2,649	2,247
სხვა ხარჯები	1,223	295
ნეტო სარეალიზაციო ღირებულების ცვლილება	-	44
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**58,056**	**53,381**

19. სხვა საოპერაციო შემოსავალი

'000 ლარი	2018	2017
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	418	593
მარაგების ზედმეტობა	141	175
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები	95	213

სხვა შემოსავალი	169	123
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	**824**	**1,104**

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან მოიცავს ლაბორატორიული და საიჯარო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს.

20. მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები

'000 ლარი	**2018**	**2017**
რეკლამისა და წარდგენსი ხარჯი	1,506	661
ცვეთის ხარჯი	235	235
მარკეტინგის ხარჯი	164	-
იჯარის ხარჯი	64	112
საწყობის ხარჯი	-	68
სახელფასო და სხვა ხარჯები	34	17
დისტრიბუციის სხვა ხარჯები	-	9
სულ მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	**2,001**	**1,102**

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	**2018**	**2017**
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	1,213	1,273
სახელფასო და სხვა ხარჯები	610	564
ცვეთის ხარჯი	200	158
საკონსულტაციო ხარჯი	47	150
მივლინების ხარჯი	80	41
საბანკო ხარჯი	23	25
საოპერაციო ლიზინგის ხარჯი	-	22
ტელეკომუნიკაციის ხარჯი	-	21
კომუნალური ხარჯი	8	9
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	48
სულ სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**2,203**	**2,311**

22. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	**2018**	**2017**
დანაკარგები	636	547
კვლევის ხარჯი	311	179
კურსთაშორისი სხვაობა	217	37
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	112	-
ჯარიმები	178	
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	116	-
სხვა ხარჯი	293	261
სხვა საოპერაციო ხარჯი	**1,863**	**1,024**

23. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

2018 წლის მაისი-ივნისში ბროილერის ვაქცინაციაში მოხდა ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიზანი იყო ფაგებით სრულიად ჩაენაცვლებინა ანტიბიოტიკების მოხმარება. აღნიშნულის შედეგად ბროილერებისთვის წარმოების პირველივე დღიდან ხდებოდა ბაქტერიოფაგების მიცემა. ეს არის მეთოდი, რომლის გამოყენებაც ჯგუფმა დაიწყო ფერმებში. ექსპერიმენტის შედეგად მალე გამოჩნდა, რომ ფაგების მიცემამ გამოიწვია ბროილერების იმუნური სისტების დაქვეითება, სავარაუდოდ რეაქციაში შევიდა ვაქცინაციასთან და დაცემის კოეფიციენტი გახდა გაცილებით მაღალი 20%, ვიდრე ჩვეულებრივი ვაქცინაციისას 5-6%. ამიტომ, ჯგუფმა შეწყვიტა ექსპერიმენტი და გადავიდა ბაქტერიოფაგის გამოყენებაზე 25-ე დღიდან. აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგად დანაკარგმა შეადგინა 1,477 ათასი ლარი.

24. წმინდა ფინასური ხარჯი/შემოსავალი

'000 ლარი	**2018**	**2017**
საპროცენტო შემოსავალი	150	40
სესხების გადაფასების შედეგი	-	22
ფინანსური შემოსავალი	150	**62**
	-	
საპროცენტო ხარჯი	(2,114)	(1,530)
სახელმწიფო სუბსიდიები	958	625
ფინანსური ხარჯი	**(1,157)**	**(905)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	**(1,007)**	**(843)**

*სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საპროცენტო ხარჯი ჯგუფს სესხი აღებული აქვს შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, რომელიც ინცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ხოლო განხორციელებულია სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ. პროექტის მიზანია აგროსასურსათო პროუდქციის წარმოება, დამუშავება, შენახვა და გაყიდვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე იაფი, ხელმისაწვდომი გრძელვადიანი და შეღავათიანი სახსრების უზრუნველყოფით. სააგენტო უზრუნველყოფს სესხის პროცენტის თანადაფინანსებას ბენეფიციართან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სახელმწიფო პროგრამის მიხედვით ჯგუფი ვალდებულკი იყო შეეძინა ძითადი საშუალებები სესხის მიღებისთანავე. ჯგუფმა შეასრულა ყველა ვალდებულება.

25. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

26. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. ჯგუფმა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი;
  - სავალუტო რისკი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1,070	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,265	6,912
გაცემული სესხები	2,348	609
მთლიანი ფინანსური აქტივები	**9,683**	**7,915**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,404	4,857
შვილობილი კომპანიების შეძენისთვის გადასახდელი ვალდებულებები	1,708	2,043
მიღებული სესხები	19,903	23,940
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**27,015**	**30,840**

(iii) რისკების მართვის სტრუქტურა

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება ჯგუფზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1,070	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,265	6,912
გაცემული სესხები	2,348	609
სულ ფინანსური აქტივები	**9,683**	**7,915**

(iv) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფისის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

ჯგუფის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია ჯგუფის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 წლის დასაწყისში ასევე 2018 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. ჯგუფს აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია ჯგუფს საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, ჯგუფი დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული ფა ფულის ექვივალენტები	1,070	-	-	1,070
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,265	-	-	6,265
გაცემული სესხები	157	2,191	-	2,348
აქტივები31.12.2018	**7,697**	**1,685**	-	**9,683**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,404	-	-	5,404
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	511	1,197	-	1,708
მიღებული სესხები	5,683	-	14,220	**19,903**
ვალდებულებები 31.12.2018	**11,598**	**1,197**	**14,220**	**27,015**
ბალანსი1.12.2018	**(3,901)**	**488**	**(14,220)**	**(17,332)**

ჯგუფის ლიკვიდურობის უარყოფითი ბალანსი შეადგენს 3,901 ათას ლარს (2017: 5,953 ათასი ლარი). მენეჯმენტის შეფასებით ლიკვიდურობის ეს მაჩვენებლი არ არის უჩვეული ბიზნესისთვის და როგორც ეს აღწერილია 30-ე განამრტებით შენიშვნაში დამფუძნებლის მიერ უკვე დაფარულია 8,444 ათასი ლარის სესხი.

ლიკვიდურობის ცხრილი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული ფა ფულის ექვივალენტები	394	-	-	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,912	-	-	6,912
გაცემული სესხები	-	609	-	609
აქტივები31.12.2017	**7,306**	**609**	-	**7,195**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	4,857	-	-	4,857
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	511	1,532	-	2,043
მიღებული სესხები	7,891	-	16,049	23,940
ვალდებულებები 31.12.2017	**13,259**	**1,532**	**16,049**	**30,840**

ბალანსი 31.12.2017				
	(5,953)	**(923)**	**(16,049)**	**(23,645)**

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. ჯგუფის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის განფენილობა

ვალუტის რისკის გათვალისწინებით, მენეჯმენტი განსაზღვრავს შეზღუდვას ვალუტის ზემოქმედების დონის მიხედვით და მთლიანობაში. ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკის განფენილობა იყო შემდეგი:

31 დეკემბერი 2018	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
USD	313	(14,242)	(13,929)
Euro	215	(1,326)	(1,111)
GPB	-	-	-
	528	(15,568)	(15,040)

31 დეკემბერი 2017	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
USD	186	(16,397)	(16,211)
Euro	10	-	10
GPB	15	-	15
	211	(16,397)	(16,186)

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო კურსის გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე, რომელიც გამოიყენება ბალანსის თარიღში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი დარჩებოდა უცვლელი:

	31 დეკემბერი 2018
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	1,393
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(1,393)

ევროს 10%-ით გამყარება	111
ევროს 10%-ით გაუფასურება	(111)

	31 დეკემბერი 2017
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	1,621
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(1,621)

(vi) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს ჯგუფის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს ფიქსირებული განაკვეთით არ აღრიცხავს როგორც მოგება ან ზარალში ასახულ რეალურ ღირებულებას, ან როგორც გასაყიდად არსებულს. შესაბამისად, ანგარიშგების თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ ექნებოდა გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

27. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია ჯგუფს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო პროცესები

პერიოდულად და საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში, შესაძლოა ჯგუფის წინააღმდეგ არსებობდეს პრეტენზიები. თავისი შეფასებების საფუძველზე, ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი არ წარმოიქმნება

პრეტენზიებთან დაკავშირებით, და ამიტომ სათანადო მუხლი არ არის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

გარემოსდაცვითი საკითხები

ამჟამად საქართველოში გარემოსდაცვითი კანომდებლობა და სახელმწიფო ორგანოების პოზიცია მათ დაცვასთან დაკავშირებით მუდმივად მკაცრდება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს გარემოს დაცვის რეგულაციებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებს. რადგან ვალდებულებები განსაზღვრულია, მათი აღიარება ხდება მყისიერად. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას არსებულ ნორმატიულ აქტებში, სამოქალაქო სარჩელებთან ან კანონმდებლობის ფარგლებში ცვლილებების შედეგად არ ექვემდებარება შეფასებას, მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის არსებული სისტემის პირობებში, ხელძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით.

28. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილი ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები	2,348	609
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	480
ხელფასები	145	70

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის განმავლობაში მფლობელმა დამატებით განახორციელა 18,631 ათასი ლარის ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

2019 წლის განმავლობაში მფლობელმა დამატებით განახორციელა 864 ათასი ლარის ფულადი შენატანი შვილობილ კომპანიებში და რის საშუალებითაც დაიფარა 2018 წლის შვილობილი კომპანიების სესხის მიმდინარე ნაწილი.

24 ივნისს მშობელმა კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 4,000 ათასი ევროს სესხებაზე, რომლითაც დაფინანსდება ბროილერების ფერმის მშენებლობა. სესხი ხელმისაწვდომი გახდება აუდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდგომ.

2019 წლის ივნისში მფლობელის მიერ დაფარულია 8,447 ათასი ლარის (ლარი:6,496 ათასი; აშშ დოლარი: 175 ათასი; ევრო: 432 ათასი) ბანკის სესხები და შესაბამისად 19 ივნისს 25,428 ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი საშუალებები მოხსნილია სესხის უზრუნველყოფიდან. ამავე პერიოდში ბანკისგან აღებულია 1,912 ათასი ლარის სესხი.

31 მაისს ძირითადი საშუალებებზე გადხდილი ავანსიდან მიღებულია 3,901 ათასი ლარის ღირებულების აქტივები. დარჩენილი ნაწილი მიღებული ინქება მას შედმგომ როდესაც დასრულდება ფერმის მშენებლობა

2019 წლის 12 აპრილს, მშობელმა კომპანიამ სახელმწიფოსგან საინვესტიციო პირობით შეიძინა მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების თანახმად მშობელმა კომპანიამ უნდა მოახდინოს 500 ათასი ლარის ინვესტიცია 2020 წლამდე.

2019 წელს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულია 2,977 ათასი ლარის სესხი.

ჩირინა ჯგუფი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2018

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში.....i
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა……..…..…....ii-v
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება…….....…….....6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება…7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება…….…..…..8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება……...……...……..…..9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები……..…...10-47
`

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შპს „ჩირინას“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 9 სექტემბერი

რევაზ ვაშაკიძე	ზაირა გოგოლიძე
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

„ჩირინა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჩირინა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ჩირინასგან“ დ მისი შვილობილი კომპანიებისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც წარმოდგენილია აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია “) დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:

- გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ კონსოლიდირებ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

„ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფმა მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მმართველობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცის შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სხვა ფირმის აუდიტორების მიერ, რომლებმაც 2019 წლის 15 თებერვალს გამოთქვეს არამოდიფიცირებულლი მოსაზრება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი

- აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

9 სექტემბერი 2019 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს „ჩირინა“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში		**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	115,936	128,487
არამატერიალური აქტივები	5	256	240
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	6	9,601	2,468
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	12	2,191	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**127,984**	**131,195**
მიმდინარე აქტივები			
სამშენებლო მასალები	7	6,805	4,746
მარაგები	9	17,609	15,955
ბიოლოგიური აქტივები	10	7,073	6,885
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	11	6,835	6,912
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	12	157	609
ფული და ფულის ექვივალენტები	13	1,070	394
სულ მიმდინარე აქტივები		**39,549**	**35,501**
სულ ატივები		**167,533**	**166,696**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	207,165	188,228
აკუმულირებული ზარალი		(66,485)	(52,372)
სულ კაპიტალი		**140,680**	**135,856**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	14,220	16,049
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	15	1,197	1,532
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**15,417**	**17,581**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	5,683	7,891
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	15	511	511
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	16	5,242	4,857
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**11,436**	**13,259**
სულ ვალდებულებები		**26,853**	**30,840**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**167,533**	**166,696**

რევაზ ვაშაკიძე — დირექტორი

ზაირა გოგოლიძე — მთავარი ბუღალტერი

შპს ჩირინა
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში	გ/შ	**2018**	**2017**
შემოსავალი	18	50,635	48,642
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19	(58,056)	(53,381)
ბიოლოგიურ აქტივებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამართლიანი ღირებულის განსაზღვრით გამოწვეული ცვლილებები თავდაპირველ ღირებულებაში	20	1,301	869
მთლიანი ზარალი		**(6,120)**	**(3,870)**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	20	824	1,104
მარკეტინგი და რეალიზაციის ხარჯები	22	(2,001)	(1,102)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23	(2,203)	(2,311)
გაუფასურების ანარიცხების ცვლილება	11/12	26	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(1,863)	(1,024)
საოპერაციო ზარალი		**(11,337)**	**(7,203)**
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	24	(1,477)	-
ფინანსური შემოსავალი	25	150	62
ფინანსური ხარჯები	25	(1,157)	(905)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადებამდე		**(13,821)**	**(8,046)**
მოგების გადასახადის ხარჯი	26	-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**(13,821)**	**(8,046)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**(13,821)**	**(8,046)**

რევაზ ვაშაკიძე
დირექტორი

ზაირა გოგოლიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს ჩირინა
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში		საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**180,587**	**(44,326)**	**136,261**
		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	(8,046)	(8,046)
კაპიტალში შენატანი	-	7,641	-	7,641
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**188,228**	**(52,372)**	**135,856**
ფასს 9-ის გავლენა	11/12		(292)	(292)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			**(52,664)**	**135,564**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(13,821)	(13,821)
კაპიტალში შენატანი	17	18,937	-	18,937
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**207,165**	**(66,485)**	**140,680**

რევაზ ვაშაკიძე
დირექტორი

ზაირა გოგოლიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს ჩირინა
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ქართულ ლარში

ათას ლარში	**გ/შ**	**2018**	**2017**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(13,821)	(8,046)
კორექტირებები:	4/5	-	
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	16,605	15,204
ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	11/12	(1,301)	(869)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება		(26)	-
მარაგების გაუფასურება	-	-	44
ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	4	112	(175)
ფინანსური შემოსავალი	25	(150)	(40)
ფინანსური ხარჯი	25	1,157	905
საკურსო სხვაობა	23	240	15
სხვა არაფულადი საოპერაციო ხარჯები	24	474	14
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		**3,290**	**7,052**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	11	(51)	2,329
ცვლილებები მარაგებში	9	(3,131)	(4,322)
ბიოლოგიური აქტივების ცვლილება	10	1,489	(133)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში	16	(126)	(2,236)
ცვლილება შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელ ვალდებულებებში	15	335	-
მიღებული პროცენტი	12	49	40
გადახდილი პროცენტი	14	(1,551)	(1,024)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		**(2,986)**	**(5,346)**
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**305**	**1,706**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები	4/7	(11,952)	(11,537)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები		95	543
არამატერიალური აქტივების შესყიდვები	5	(74)	(90)
შვილობილი კომპანიების შეძენისთვის გადახდილი თანხები		(540)	(270)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	10	(1,757)	(587)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(14,228)**	**(11,941)**
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
მიღებული სესხები	12	2,260	8,683
სესხის გადახდა	12	(6,668)	(5,943)
კაპიტალში განხორციელებული შენატანები	15	18,937	6,623
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**14,529**	**10,381**
საკურსო ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		70	(101)
ფულისა და ფულადი ექვივალენტების წმინდა შემცირება		**676**	**45**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		394	**349**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		**1,070**	**394**

რევაზ ვაშაკიძე — დირექტორი

ზაირა გოგოლიძე — მთავარი ბუღალტერი

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

“ჩირინა“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მშობელი კომპანია დაარსდა 1996 წელს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია გუდიაშვილის ქუჩა №9, თბილისი, საქართველო.

ჯგუფი ვერტიკალურად მოიცავს მეფრინველეობისა და ბროიელრების ფერმებს საკვებ ქარხანას, მარცვლეულის საშრობს, ხორცის გადამამუშავებელი ქარხანა, ინკუბატორს და ვეტერინარულ ლაბორატორია. ჯგუფი ასევე ფლობს ვაშლის ბაღებს, ხილის შენახვისა და დახარისხების საშუალებებს. ჯგუფი ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე ყიდის პროდუქტებს (ქათმის ხორცი, ინკუბატორის კვერცხი, ქათმის ძეხვეული და ვაშლი) რამდენიმე სადისტრიბუციო კომპანიის მეშვეობით.

ჯგუფს მთლიანად ფლობს და აკონტროლებს ბ-ნი რევაზ ვაშაკიძე.

მშობელი კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

საწარმო	ბიზნესი	31 დეკემბერი **2018**	31 დეკემბერი **2017**
შპს ბროილერი K	ბროილერის ფერმის ოპერატორი	100%	100%
შპს ბროილერი L	ბროილერის ფერმის ოპერატორი	100%	100%
შპს აგრომაქსბროილერი	ბროილერის ფერმის ოპერატორი	100%	100%
შპს აგროპროცესინგი	ზეთის გადამუშავება	0%	90%

შპს ბროილერი K და შპს ბროილერი L-ს იურიდიული მისამართია თამარაშვილის ქუჩა №4ა, თბილისი 0162, საქართველო. შპს აგრომაქსბროილერის იურიდიული მისამართია სართიჭალა, გარდაბანი 1324, საქართველო. შპს აგროპროცესინგის იურიდიული მისამართია გუდიაშვილის ქუჩა №9 თბილისი, საქართველო.

შეძენამდე შვილობილის კომპანიების საქმინობას წარმოადგენდა საბროილერო ფერმების გაქირავება. მშობელი კომპანიას შეძენამდე საოპერაციო ლიზინგით აღებული ქონდა საბროილერო ფერმები. შეძენის შემდგომ საოპერაციო ლიზინგი არ შეწყვეტილა და განაგრძობს საბროილერო ფერმების გამოყენებას.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს

ზეგავლენის შესახებ, ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ინვესტიციას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ჯგუფს გააჩნია ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით; ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება; და გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით. მატერიალური უფლებების არსებობა და ეფექტი, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლებები გათვალისწინებულია როცა ხდება იმის შეფასება, აქვს თუ არა ჯგუფს სხვა საწარმოზე გავლენა. იმისათვის, რომ ჯგუფს გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, მას უნდა გააჩნდეს ძალაში შესული (მოქმედი) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს. ინვესტორი შეიძლება არ იყოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, მაგრამ გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს, საკმარისია თუ არა მისი ხმის უფლებები იმისთვის, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას ანიჭებდეს, ჯგუფი განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მას დე-ფაქტო უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე. დამცავი უფლებები დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოს საქმიანობების ძირეულ ცვლილებებთან, ან განკუთვნილია განსაკუთრებულ გარემოებებში გამოყენებისთვის. თუმცა, ყველა უფლება, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ გარემოებებში, ან პირობითია და დამოკიდებულია გარკვეულ მოვლენებზე, არ წარმოადგენს დამცავ უფლებას. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შეძენის თარიღი) და ტოვებს ჯგუფს კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

შეძენის მეთოდის აღრიცხვა გამოიყენება იმისთვის, რომ აღირიცხოს შვილობილი კომპანიების შეძენა. იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივები, აღებული ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას იზომება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის დღეს, რომელიმე არაკონტროლირებადი წილის მოცულობის მიუხედავად.

გუდვილი ფასდება შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული მთლიანი კომპენსაციიდან შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების დაქვითვით, შეძენილ კომპანიაში არამაკონტრელებელი წილის მოცულობით და შეძენის თარიღამდე ფლობილ შეძენილ

კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა (`უარყოფითი გუდვილი") აღიარებულია მოგება-ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს გამოავლინა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და ყველა ვალდებულება და აღებული პირობითი ვალდებულებები, და მიმოიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

როდესაც ოპერაცია ან მოვლენა არ აკმაყოფილებს ბიზნეს კომბინაციისას განმარტებას, აქტივის ან აქტივების ჯგუფის გამო, რომელიც არ აკმაყოფილებს ბიზნესის განსაზღვრას, მას უწოდებენ „აქტივის შეძენას". ასეთ ვითარებაში, შემსყიდველი:

- აღიარებს შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებს (მათ შორის ისეთ აქტივებს რომლებიც აკმაყოფილებენ არამატერიალური აქტივების ან/და ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს);
- ანაწილებს შეძენის ფასს იდენფიტიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებზე შეძენის დღისთვის არსებულ სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

ასეთი ოპერაცია ან მოვლენა არ წარმოშობს გუდვილს ან მოგებას შეძენისას.

ჯგუფი შეძენის თარიღისთვის აფასებს შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის კომპონენტებს, რომლებიც არსებული (ძალაში შესული) საკუთრების წილებია და მფლობელებს შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიღების უფლებას ანიჭებს მისი ლიკვიდაციის დროს: ა) რეალური ღირებულებით; ან ბ) როგორც ძალაში შესული ინსტრუმენტების პროპორციული წილი შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებთან დაკავშირებით აღიარებულ თანხებში. არამაკონტროლებელი წილის ყველა სხვა კომპონენტი უნდა შეფასდეს მათი შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით.

შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული კომპენსაცია ფასდება დათმობილი აქტივების, გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების და წარმოქმნილი ან აღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის პირობითი უზრუნველყოფიდან აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ გამორიცხავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურებები. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯები იქვითება კაპიტალიდან; ვალის გაცემასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ოპერაციების ხარჯები იქვითება ვალის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა ოპერაციების ხარჯი უკვე გაწეულია.

შიდაჯგუფური ოპერაციები, ნაშტები და არარეალიზებული მოგება ჯგუფს შიგნით ელიმინირდება. არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირდება მანამ სანამ შესაძლებელია ხარჯების დაქვითვა. მშობელი კომპანია და შვილობილი კომპანიები იყენებენ ერთიან საარვრიცხვო პოლიტიკას.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საბოლოო შედეგის ან კაპიტალის ნაწილი რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს ჯგუფი. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2.1 ცვლილებები საარიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფის მიერ დანერგილ იქნა ფასს 9 რომელიც გამოიცა 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ. სტანდარტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, რომელმაც გამოიწვია ჯგუფის პოლიტიკის ცვლილება და გააჩინა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების კორექტირების საჭიროება. ჯგუფის მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში.

ფასს 9-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მიდგომა არ მომხდარიყო ჯგუფის შესადრისი მონაცემების კორექტირება და ფინანსური ანგარიშგებების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება რომელიც გამოწყვეული სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა ჯგუფის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ფასს 7 ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადრისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას.

ფასს 9-ის დანერგვას გავლენა აქვს მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე კლასიფიცირებასა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრაზე ისევე როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხებზე. ფასს 9 ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სხვა სტანდარტებს როგორიცაა ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს

მენეჯმენტმა წარმოადგინა განამრტებითი შენიშვნები რომლებიც უკავშირდება ჯგუფის მიერ ფასს 9-ის დანერგვას. დეტალური ინფორმაცია ფასს 9-ის გავლენის შესახებ (ისევე როგორც ბასს 39 ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე წარმოდგენილია ქვემოთ

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიისა და საბალანსო მაჩვენებლის ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	ბასს 39		ფასს 9	
	კატეგორიის საზომი	თანხა	კატეგორიის საზომი	თანხა
ფული და ფულის ექვივალენტები	ამორტ. ღირ.	394	ამორტ. ღირ.	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	ამორტ. ღირ.	6,912	ამორტ. ღირ.	6,649
გაცემული სესხები	ამორტ. ღირ.	609	ამორტ. ღირ.	580
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	ამორტ. ღირ.	5,368	ამორტ. ღირ.	5,368
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	ამორტ. ღირ.	1,532	ამორტ. ღირ.	1,532
მიღებული სესხები	ამორტ. ღირ.	23,940	ამორტ. ღირ.	23,940
სულ				

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ")

მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და ჯგუფი გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც იყო ამის ობიექტური მტკიცებულება.

ბ) ჯგუფმა ჩაატარა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და ფულადი სახსრების მახასიათებლების დეტალური ანალიზი.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ ბასს 39 ისა და ფასს 9-ის კატეგორიების მიხედვით რომელიც დაინერგა 2018 წლის 1 იანვრიდან.

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	რეკლასი-ფიკაცია	კორექ-ტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	394			394
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	6,912		(263)	6,649
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
გაცემული სესხები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	609		(29)	580
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	5,368			5,368
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	1,532			1,532
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				
მიღებული სესხები				
საწყისი ნაშთი ბასს 39 მიხ.	23,940			23,940
საბოლოო ნაშთი ფასს 9 მიხ.				

გ) ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფასს 9 -ის დანერგვით გამოწვეული ცვლილების შესახებ ფინანსური აქტივების გაუფასურების ანრიცხებში:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	რეკლასიფ.	კორექტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სეხები და მოტხოვნები (ბასს 39)/ ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირ. ფასს 9				
გაცემული სესხები	-	-	(29)	(29)
დებიტორული დავალიანება	-	-	(263)	(263)

ჯამი	**-**	**-**	**(292)**	**(292)**

როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ნაჩვენები ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საზომი კატეგორიები და მოხდა მათი კლასიფიცირება მანამდე არსებულ კატეგორიაში, თუმცა განსხვავებულად იქნა გამოანგარიშებული გაუფასურების ანარიცხი, ანარიცხების შექმნა მოხდა ახალი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებულ იქნა ,,მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის'' მოდელი.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და დაინერგა ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების ერთიან მოდელს. სტანდარტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიდგომა, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. სტანდარტი ადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლის აღიარების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის განსაზღვრას ტრანზაქციის ღირებულების პროპორციულად. სტანდარტის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია განცალკევებულად როგორც ხარჯი, ნაცვლად იმისა, რომ დაკორექტირებულიყო შემოსავალი. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები, საკონტრაქტო აქტივები ან მოთხოვნები, კლასიფიკაცია დამოკიდებულია ჯგუფის მხრიდან საკონტრაქტო მოთხოვნების შესრულებასა და მომხმარებლის მხრიდან საზღაურის გადახდასთან. მომხმარებლის მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ისევე როგორც კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ექვემდებარება განცალკევებული კრიტერიუმით წარმოდგენას და კაპიტალიზირდება როგორც აქტივი, რომელიც ამორტიზირდება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში.

ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნა ფასს 15 რეტროსპექტული მიდგომით.

ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

2.2. სააღრიცხო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ჯგუფის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება ჯგუფის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება ჯგუფის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები 10-20 წელი;
- ნერგები და მანქანა-დანადგარები 8-13 წელი;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 10 წელი
- სხვა 5-13 წელი;

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

- მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიები 25 წელი;
- კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა 5 -7 წელი;
- სხვა აქტივები 5 -7 წელი;

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებით. ყოველი საანაგრიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე კომპანიების გაყიდვისასსხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი.

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც ჯგუფის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. ჯგუფის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის ჯგუფის ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომედევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით ჯგუფი აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

• ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

• რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

• რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიით სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს, ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, ჯგუფი განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულები პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან,დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

ჯგუფი წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, როლებიც ჯგუფის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>181
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღირარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესახ ხედება შემდეი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან

2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული

რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.67	3.07	3.39
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.53	2.99	3.38
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.50	2.83	3.23

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახდი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.
საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის,

შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.
თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

ბიოლოგიური აქტივები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ჯგუფის ბიოლოგიური აქტივებში შედის ნაყოფის მომცემი კულტურა - ხეხილი და ცოცხალი ფრინველი (მოიცავს როგორც სადედე, ასევე მოზარდს). კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მსხმოიარე მცენარეები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები, ხოლო ცოცხალი ფრინველი -როგორც მიმდინარე აქტივი. ნაყოფის მომცემი კულტურა არის ცოცხალი მცენარე რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად, მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწევს ნაყოფს და მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა. ნაყოფის მომცემი კულტურები იმავე მეთოდით აღირიცხება, როგორც საწარმოს მიერ შექმნილი ძირითადი საშუალებები, იმ მომენტამდე, სანამ ლოკაციაში და პირობებში, რომელიც აუცილებელია მათ გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

მოსალოდნელია, რომ ჯგუფის ხეხილის ხეები ნაყოფს გამოიღებს დარგვიდან სამ წელიწადში, მაგრამ ისინი მიაღწევენ მაქსიმალურ მოსავლიანობას დარგვიდან შვიდი წლის შემდეგ. სიმწიფის მიღწევის შემდეგ, ნებისმიერი შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზირდება, იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება მომავალ ეკონომიკურ სარგებელი.
ხეხილის ხეების ცვეთა გაანგარიშდება პირდაპირი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გაანგარიშებული 25 წლიანი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში.

ჯგუფის სოფლის მეურნეობის პროდუქციია მოიცავს ძირითადად ვაშლს. მოსავლის აღების შემდეგ, სოფლის მეურნეობის პროდუქციია აღირიცხება როგორც გასაყიდად გამიზნული მარაგი და თავდაპირველად აღირება ხდება გაყიდვისთვის შეფასებული დანახრჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით.
ამ კულტურების სეზონური ხასიათის გამო, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯგუფს სრულად აქვს აღებული მოსავალი. სოფლის მეურნეობის პროდუქციია ინახება ცივ საწყობებში პერიოდის ბოლოს.
ცოცხალი ფრინველი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. ცოცხალი ფრინველის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, რადგან ბაზრზე არ არის ხელმისაწვდომი სადედე და მოზარდი ქათმები და ბორილერები, რომელთაც აქვთ იგივე ფიზიკური მდგომარეობა- წონა, ასაკი, ჯიში, როგორც ეს ჯგუფის ცოცხალ ფრინველებს. ცოცხალი ფრინველის სამართლიანი ღირებულება ეფუძნება კვერცხების მოსალოდნელ რაოდენობას მათი სასაციცოცხლო ციკლის განმავლობაში, ხორცის მოსალოდნელ რაოდნეობას დაკვლის მომენტში, მოსალოდნელ გაყიდვის ფასს, პირუტყვის საშუალო მოსალოდნელ მწარმოებლურობას და წარმოების მომავალ ხარჯებს. დისკონტის განაკვეთი განსაზღვრულია წინასწარი დადგენილი საბაზრო განაკვეთით დაბეგვრამდე. გაყიდვის ხარჯები მოიცავს ყველა დანახარჯს, რომელიც აუცილებელი იქნება აქტივების გასაყიდად. ყველა მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ბიოლოგიური

აქტივების თვითღირებულბასა და გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიან ღირებულებას შორის აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში განცალკევებულად, „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველად აღიარების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი“ წმინდა მოგების ხაზის ზემოთ.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერილაური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და საწარმოო ზედნადებ ხარჯებს, მაგრამ გამორიცხავს სესხის ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდგომ.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცრებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

სახელფასო ხარჯები და მათთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და შვებულება, პრემია და სხვა სარგებელი დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც გაწეულია მომსახურებას აჯგუფი არ ხარჯავს ხარჯებს პენსიის ან სხვა დასაქმების შეღავათებთან დაკავშირებით. ჯგუფს არ წარმოექმნება რაიმე დანახარჯი მისი თანამშრომლებისთვის პენსიების ან სხვა დასაქმების შემდგომ სარგებელთან დაკავშირებით.

სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო დახმარება აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, როცა არსებობს გონივრული გარანტია, რომ დახმარება მიღებული იქნება და ჯგუფი შეასრულებს მასთან დაკავშირებულ ყველა პირობას.
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება შეტანილია გრძელვადიან ვალდებულებებში როგორც გადავადებული შემოსავალი და დაკრედიტებულია მოგებასა ან ზარალში პირდაპირი მეთოდის საფუძველზე შესაბამისი აქტივების მოსალოდნელი საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში. ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება გადავადებულია და აღიარებულია წლის მოგებასა ან ზარალში პუნქტში „წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯები,“ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ისინი დაემთხვას იმ ხარჯებს, რომელთა კომპენსაციისთვისაც ისინია გამიზნული.

3 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. ჯგუფმა შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მენეჯმენტის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს ჯგუფი, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვევო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვევო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობები	საწარმოო მანქანა-დანადგარები	ავტომობილები	მსხმოიარე მცენარეები	სხვა	დაუმონტაჟებელი მოწყობილობა & CIP*	სულ
თვითღირებულება							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**88,979**	**61,585**	**6,940**	**1,491**	**2,909**	**3,272**	**165,176**
შემოსულობები	602	954	411	132	10	8,071	10,180
შემოსულობები შვილობილი კომპანიების შეძენის გამო	5,926	50	9		462	-	6,447
შიდა მოძრაობა	1,904	6,011	252	-	514	(8,681)	-
გასვლა	(7)	(14)	(609)	-	(2)	-	(632)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**97,404**	**68,586**	**7,003**	**1,623**	**3,893**	**2,662**	**181,171**
შემოსულობები	933	642	152	1	42	987	2,757
შიდა მოძრაობა	3,408	1,337	20	1,183	58	(2,592)	3,414
გასვლა	(447)	(472)	(275)	(1,157)	(7)	-	**(2,358)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**101,298**	**70,093**	**6,900**	**1,650**	**3,986**	**1,057**	**184,984**
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(12,665)**	**(22,078)**	**(1,776)**	**-**	**(1,264)**	**-**	**(37,783)**
ცვეთის ხარჯი	(6,055)	(7,861)	(675)	-	(574)	-	(15,165)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	6	256	-	2	-	264
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(18,720)**	**(29,933)**	**(2,195)**	**-**	**(1,836)**	**-**	**(52,684)**
ცვეთის ხარჯი	(6,781)	(8,677)	(690)	-	(540)	-	(16,688)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	198	121	-	5	-	324
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(25,501)**	**(38,412)**	**(2,764)**	**-**	**(2,371)**	**-**	**(69,048)**
საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**76,314**	**39,507**	**5,164**	**1,491**	**1,645**	**3,272**	**127,393**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**78,684**	**38,653**	**4,808**	**1,623**	**2,057**	**2,662**	**128,487**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**75,797**	**31,681**	**4,136**	**1,650**	**1,615**	**1,057**	**115,936**

*CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ძირითადად ბროილერის ფერმებსა და მსხმოიარე მცენარეებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადაიქცევა შენობებად. დაუმთავრებელი მშენებლობაზე დაკაპიტალიზირებული სესხის პროცენტი შეადგენს 0 ლარს (2017: 286 ათასი ლარი).

2018 წლის განმავლობაში დაუმთავრებელი მშენებლობიდან მიწაზე და შენობებზე გადატანილია 1,723 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო საწარმოო მანქანა-დანადგარებზე - 847 ათასი ლარი.
დაუმთავრებელი მშნებლობის ნაშთი მოიცავს ბროილერის ფერმებისთვის მიწის გრუნტის დამუშავებაზე გაწეულ ხარჯებს.
ნაყოფის მომცემი კულტურები მოიცავს მოუმწიფებელ ვაშლის ხეებს. ჯგუფს არ გააჩნია სიმწიფის ფაზაში მყოფი ვაშლის ხეები.
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული შენობების, მიწის და მოწყობილობის ღირებულება შეადგენდა 25,980 ათას ლარს (2017: 25,692 ათასი ლარი) იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 13.

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით სრულად ნაცვეთი ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 951 ათას ლარს (2017: 456 ათასი ლარი).

5. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	ლიცენზიები, სერთიფიკატები და სავაჭრო ნიშნები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	101	116	21	239
შესყიდვები	39	51	-	90
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**140**	**167**	**21**	**329**
შესყიდვები	28	46	-	74
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**168**	**213**	**21**	**403**
დაგროვილი ამორტიზაცია				
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(21)**	**(27)**	**(1)**	**(50)**
ამორტიზაციის ხარჯი	(17)	(18)	(3)	**(38)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(38)**	**(45)**	**(4)**	**(89)**
ამორტიზაციის ხარჯი	**(23)**	**(32)**	**(3)**	**(58)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(61)**	**(77)**	**(7)**	**(147)**
საბალანსო ღირებულება				

ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	80	89	20	189
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	102	122	17	240
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**107**	**136**	**14**	**256**

6. ავანსები

ავანსების ნაშთიდან 7,851 ათასი ლარი წარმოადგენს ახალი ბროილერის ბროილერის ფერმისთვის შესაძენ კონსტრუქციებს და აღჭურვილობებისთვის გადახდილ თანხებს. მიღებული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 29 განმარტებით შენიშვნაში.

7. სამშენებლო მასალები

სამშენებლო მასალებში შედის ჯგუფის შენობების და ბროილერის ფერმების მიმდინარე/მომავალი სამუშაოებისთვის შესყიდული მასალები. ყველა სამშენებლო მასალა კაპიტალიზდება ძირითად საშუალებებში.

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
სამშენებლო და სარემონტო მასალები	4,470	2,860
ძირითადი საშუალებების მარაგ-ნაწილები	923	840
ფერმის აღჭურვილობა	763	353
სწრაფცვეთადი სამშენებლო-სარემონტო ინვენტარი	355	408
სათადარიგო ნაწილები	295	285
სულ	**6,805**	**4,746**

8. მარაგები

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
ნედლეული	13,712	11,704
მზა პროდუქცია	1,979	2,702
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	715	343
საწარმოო მარაგები	645	644
უნიფორმა და სპეციალური აღჭურვილობა	169	96
სხვა მარაგები	389	466
სულ მარაგები	**17,609**	**15,955**

ნედლეული მოიცავს საკვებს (სიმინდი, ხორბალი, ზეთი და სხვა), ტარა და შესაფუთ მასალებს, ვაქცინებს და სხვა მარაგებს, რომლებიც საჭიროა ბროილერის წარმოებისთვის. მზა პროდუქცია მოიცავს ქათმის ხორცს და მასთან დაკავშირებულ პროდუქტს. სოფლის მეურნეობის პროდუქცია მოიცავს შეძენილ და წარმოებულ ვაშლს და კომპოსტს.

ყველა მარაგი, გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა, დაკავშირებულია ხორცის წარმოებასთან.

სასაქონლო მარაგები აღიარებულია როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება პერიოდის განმავლობაში, რომელიც წარმოადგენს გაყიდვების ხარჯებს, რაც შეადგენს 30,193 ათას ლარს (2017: 23,606 ათასი ლარი).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	**2018**	**2017**
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**343**	**339**
სამართლიანი ღირებულების ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარების შემდგომ	214	336
გაყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება	(300)	(332)
სხვა ცვლილება	(45)	-
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**212**	**343**
შეძენილი ვაშლი	213	-
კომპოსტი	290	-
სულ მარაგები	**715**	**343**

9. ბიოლოგიური აქტივები

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
მოზარდი ქათამი	2,667	2,574
სადედე ქათამი	2,608	2,477
სულ მიმდინარე ბიოლოგიური აქტივი	**5,275**	**5,051**
ბროილერის ქათამი	1,703	1,742
საინკუბაციო კვერცხი	94	92
სულ წარმოებული ბიოლოგიური აქტივი	1,797	**1,834**
სულ ბიოლოგიური აქტივი	**7,073**	**6,885**

ბიოლოგიური აქტივების მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**6,885**	**5,887**
სამართლიანი ღირებულების ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარების შემდგომ	(267)	865
ზრდა შესყიდვის გამო	1,941	1,639
ზრდა გაწეული დანახარჯების გამო	29,490	30,928
ზრდა საინკუბაციო პერიოდში	5,478	4,525
შემცირება გაყიდვის გამო	(36,140)	(36,612)
სხვა ცვლილება	(314)	(347)
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,073**	**6,885**

ბიოლოგიური აქტივების მოძრაობა 2018 წლის განმავლობაში სახეობების მიხედვით წარმოადგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	მოზარდი ქათამი	სადედე ქათამი	ბროილერის ქათამი	სულ
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**2,574**	**2,477**	**1,742**	**6,793**
სამართლიანი ღირებულების ცვლილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარების შემდგომ	(41)	(240)	14	(267)
ზრდა გაწეული დანახარჯების გამო	3,885	3,644	29,380	36,909
შემცირება გაყიდვის გამო	(3,751)	(3,273)	(29,433)	(36,457)
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,667**	**2,608**	**1,703**	**6,978**

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მართვის სტრატეგია

ჯგუფი ექვემდებარება ფინანსურ რისკებს, რომლებიც გამოწვეულია ქათმის ხორცის ფასების ცვლილებით. ჯგუფი არ ითვალისწინებს, რომ მომავალში სავარაუდოა ქათმის ხორცის ფასების მნიშვნელოვნი კლება და, შესაბამისად, არ შესულა დერივატივის ან სხვა საკონტრაქტო გარიგებაში, რათა ემართა ქათმის ხორცის ფასების შემცირება. ჯგუფი რეგულარულად განიხილავს თავის ხედვას ქათმის ხორცის ფასებს, აქტიური ფინანსური რისკების მართვის საჭიროების გათვალისწინებით.

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	5,929	5,325
სხვა ფინანსური დავალიანებები	686	642
გაუფასურების ანარიცხი	(567)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,048	5,967
ავანსები	532	572
წინასწარ გადახდილი და დაბრუნებადი გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	211	373
სხვა დებიტორული დავალიანებები	44	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**6,835**	**6,912**

მოთხოვნების ცხრილი, ვადაგადაცილებული დღეების მითითებით გაუფასურების გარეშე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ვადაგადაცილებული დღეები	**< 30**	**31-60**	**61-90**	**91-180**	**>180**	**სულ**
მოსალოდნელი საკრედიტო რისკის %	**2%**	**5%**	**25%**	**50%**	**100%**	
დებიტორული დავალიანებები	6,261	-	47	96	211	6,615
გაუფასურების ანარიცხი	(296)	-	(12)	(48)	(211)	(567)
წმინდა დებიტორული დავალაინებები	**5,965**	**-**	**35**	**48**	**-**	**6,048**

მოთხოვნების ცხრილი, ვადაგადაცილებული დღეების მითითებით,გაუფასურების გარეშე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ვადაგადაცილებული დღეები	**< 30**	**31-60**	**61-90**	**91-180**	**>180**	**სულ**
მოსალოდნელი საკრედიტო რისკის %	2%	5%	25%	50%	100%	
დებიტორული დავალიანებები	5,820	-	-	2	145	5,967
გაუფასურების ანარიცხი	(117)	-	-	(1)	(145)	(263)
წმინდა დებიტორული დავალაინებები	**5,663**	**-**	**-**	**1**	**-**	**5,704**

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**
ფასს 9-ის გავლენა	(263)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(263)**
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	(355)
ჩამოწერილი დავალიანების რეზერვში გადატანა	(418)
საეჭვო მოთხოვნებიდან შემოსავლები	469
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(567)**

11. დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები	2,307	552
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	38	22
დარიცხული პროცენტი	120	34
გაუფასურების ანარიცხი დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებზე	(116)	-
გაუფასურების ანარიცხი თანამშრომლებზე გაცემულ სესხებზე	(1)	-
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	**2,348**	**609**

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენაირად:

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ფასს 9-ის გავლენა	(29)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(29)**
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	(88)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(117)**

დაკავშირებულ კომპანიაზე გაცემული სესხები წარმოადენს საშეღავათო პერიოდით გაცემულ სესხებსა და საკრედიტო ხაზს 11% და 12% საპროცენტო სარგებლით, რომელთა დაფარვის ვადა არის 2020 წელი. სესხების ხელშეკრულებების თანახმად სარგებლის პროცენტის გადახდა მოხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირი თანხის გადახდა საშეღავათო პერიოდის შემდგომ.

თანამშრომლებზე გაცემული სესხები მოიცავს მათზე გაცემულ სესხებს საშუალოდ 11%-ში, რომლეთა ძირი თანხის გაქვითვა ხორციელდება ხელფასიდან ვადის ამოწურვამდე (2019 წელი).

12. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,032	392
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	38	2
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**1,070**	**394**

ჯგუფის საკრედიტო რისკის განფენილობის და სენსიტიურობის ანალიზის განმარტებულია 26-ე შენიშვნაში.

13. სესხები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები საფინანსო ინსტიტუტებიდან	19,826	23,863
სხვა სესხები	77	77
სულ სესხები	**19,903**	**23,940**

ჯგუფის სესხები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები:		
- ქართულ ლარში	6,619	7,552
- აშშ დოლარში	4,108	16,338
- ევროში	9,176	-
სულ სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,903**	**23,940**

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხის პროცენტი	66	46
მოკლევადიანი სესხები	5,617	7,845
გრძელვადიანი სესხები	14,220	16,049
სულ სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,903**	**23,940**

ბანკის სესხები დასაფარია 2019-2022 წლამდე წლიური საშუალო 6,2% -10 % (2017: 11% წლიურად). ძირი თანხისა და საპროცენტო ხარჯის გადახდები ხორციელდება ყოველთვიურად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

არ არის არსებითი სხვაობა სესხების სამართლიანი ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, რადგან დისკონტის ეფექტი არ არის მნიშვნელოვანი.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია სესხების ანალიზი და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

‘000 ლარი	2018	2017
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**23,940**	**17,620**
შვილობილის კომპანიების შეძენის გამო ბალანსის ზრდა	-	3,537
წლის განმავლობაში მიღებული სესხი	2,260	8,683
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	2,466	1,414
ძირითად საშუალებებზე დაკაპიტალიზირებული სესხის პროცენტი	-	286
სესხის ძირი თანხის გადახდა	(6,668)	(5,943)
სესხის პროცენტის გადახდა	(1,551)	(1,024)
სახელმწიფოსგან დაფინანსებული სესხის პროცენტი	(934)	(625)
საკურსო სხვაობა	390	(22)
სხვა არაფულადი მოძრობა	-	14
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,903**	**23,940**

14. შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები

2017 წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ შეიძინა შპს ბროილერ ლ-ის, შპს ბროილერ კ-ს და შპს აგრომაქს ბროილერის 100%-იანი წილი, 2,924 ათას ლარად. მთლიანად შპს აგრომაქსბრიოლერისთვის თანხა გადასახდელია 2022 წლის იანვარში, ხოლო 2023 წლის ივლისში შპს ბროილერ K-სა, შპს ბროილერ L- თვის. 2018 წელს ყოფილი მეწილეებისთვის გადახდილია 540 ათასი ლარი (2017: 270 ათასი ლარი).

ვალდებულება 31 დეკემბრს 2017 წლის ბოლოს შეადგენადა 2,043 ათას ლარს (მთლიანი ღირებულება 2,924 ათასი). რომელიც დისკონტირებულია საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 11,5%. 2018 წლის განმავლობაში დაფარულ დავალაინება შეადგენს 540 ათას ლარს (2017: 270 ათასი ლარი).

‘000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
მოკლევადიანი ვალდებულება	511	511
გრძელვადიანი ვალდებულება	1,197	1,532
სულ	**1,708**	**2,043**

საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 205 ათასი ლარი (2017: 116 ათასი ლარი).

შვილობილი კომპანიების აქტივები, ვალდებულებები და ნეტო აქტივები წარმოდგენილია ქვემოთ:

	„ბროილერი ლ“	**„ბროილერი კ“**	**“აგრომაქს ბროილერი“**	**სულ**
მთლიანი აქტივები	1,082	1,124	2,119	4,325

	„ბროილერი ლ“	„ბროილერი კ“	“აგრომაქს ბროილერი“	სულ
მთლიანი ვალდებულებები	1,125	1,115	2,114	4,354
შვილობილი კომპანიების წმინდა აქტივები შეძენის დღეს	**(43)**	**9**	**5**	**(29)**
შვილობილი კომპანიების შესყიდვის ფასი	912	912	1,100	2,924
დისკონტის თანხა	246	246	236	728
დისკონტირებული ვალდებულება	**666**	**666**	**864**	**2,196**
აქტივებზე გადასანაწილებელი თანხა	(708)	(657)	(859)	(2,224)

მთავარი მიზეზი იმისთვის, რომ შპს ჩირინას შეეძინა ეს საწარმოები იყო მის ახლოს მდებარე ბროილერის ფერმებზე საკუთრების უფლების მოპოვება. ეს გარიგება თავისი ხასიათით იყო უფრო აქტივების შეძენა, ვიდრე ბიზნეს კომბინაცია, რადგან შეძენილი შვილობილი კომპანიები ფლობდნენ მხოლოდ ბროილერის ფერმას. ბიზნეს ოპერაციების აღწერაში, რომელიც მოიცავს პროცესსა და შედეგს, გამოვლინდა კომპონენტების არარსებობა, რის გამოც ეს გარიგება კლასიფიცირებულია როგორც აქტივის შეძენა.

ვინაიდან აღნიშნული ოპერაცია თავისი შინაარსით წარმოადგენდა აქტივების შეძენას და არა ბიზნეს კომბინაციას, 2,224 ათასი ლარი - სხვაობა შვილობილი კომპანიების შეძენის თანხასა და ნეტო აქტივებს შორის შეძენის თარიღში აღიარებულია როგორც აქტივი - მიწა და შენობები.

გარდა ამისა, მშობელმა კომპანიამ 2018 წელს შვილობილ კომპანიებში დამატებით განახორციელა 911 ათასი ლარის ფულადი შენატანი (2017: 1,096 ათასი ლარი).

15. სავაჭრო და სხვა დავალიანებები

‘000 ლარი	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	5,170	4,581
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადასახდელი ვალდებულება	-	270
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტოული დავალიანება	5,170	4,851
ვალდებულებები შვილობილი კომპანიების მიმართ	-	-
გადასახდელი ხელფასები	14	6
საგადასახადო ვალდებულებები	58	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტოული დავალიანება	**5,242**	**4,857**

16. საწესდებო კაპიტალი

2013 წლის 9 მაისით დათარიღებული სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 188,228 ათას ლარს. 2018 წლის განმავლობაში მფლობელის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანები შეადგენს 18,936 ათას ლარს (2017: 7,461 ათასი ლარი) ხოლო არაფულადი შენატანები 6 ათას ლარს.

17. შემოსავალი

'000 ლარი	**2018**	**2017**
მთლიანი გაყიდვები	51,640	48,642
გაყიდვების უკან დავრუნება	(1,005)	-
სულ შემოსავალი	**50,635**	**48,642**

'000 ლარი	**2018**	**2017**
ადგილობრივი გაყიდვები	49,301	47,531
ექსპორტი	1,334	1,111
სულ შემოსავლები	**50,635**	**48,642**

მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	**2018**	**2017**
ქათმის ხორცი	47,445	46,255
საინკუბაციო კვერცხი	2,004	665
ვაშლი	402	511
სამომხმარებლო კვერცხი	127	104
სოსისი	39	513
სხვა შემოსავალი დაკავშირებული ქათმის ხორცთან	618	594
სულ შემოსავალი	**50,635**	**48,642**

18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

'000 ლარი	**2018**	**2017**
გამოყენებული ნედლეული და მასალები	30,193	23,553
ცვეთის ხარჯი	16,169	14,801
კომუნალური ხარჯები	3,238	7,154
სახელფასო და სხვა ხარჯები	4,584	5,287
ნაშთებს შორის ცვლილება	2,649	2,247
სხვა ხარჯები	1,223	295
ნეტო სარეალიზაციო ღირებულების ცვლილება	-	44
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**58,056**	**53,381**

19. სხვა საოპერაციო შემოსავალი

'000 ლარი	**2018**	**2017**
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	418	593
მარაგების ზედმეტობა	141	175
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები	95	213

სხვა შემოსავალი	169	123
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	**824**	**1,104**

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან მოიცავს ლაბორატორიული და საიჯარო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს.

20. მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები

'000 ლარი	**2018**	**2017**
რეკლამისა და წარდგენსი ხარჯი	1,506	661
ცვეთის ხარჯი	235	235
მარკეტინგის ხარჯი	164	-
იჯარის ხარჯი	64	112
საწყობის ხარჯი	-	68
სახელფასო და სხვა ხარჯები	34	17
დისტრიბუციის სხვა ხარჯები	-	9
სულ მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	**2,001**	**1,102**

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	**2018**	**2017**
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	1,213	1,273
სახელფასო და სხვა ხარჯები	610	564
ცვეთის ხარჯი	200	158
საკონსულტაციო ხარჯი	47	150
მივლინების ხარჯი	80	41
საბანკო ხარჯი	23	25
საოპერაციო ლიზინგის ხარჯი	-	22
ტელეკომუნიკაციის ხარჯი	-	21
კომუნალური ხარჯი	8	9
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	21	48
სულ სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**2,203**	**2,311**

22. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	**2018**	**2017**
დანაკარგები	636	547
კვლევის ხარჯი	311	179
კურსთაშორისი სხვაობა	217	37
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	112	-
ჯარიმები	178	
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	116	-
სხვა ხარჯი	293	261
სხვა საოპერაციო ხარჯი	**1,863**	**1,024**

23. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

2018 წლის მაისი-ივნისში ბროილერის ვაქცინაციაში მოხდა ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიზანი იყო ფაგებით სრულიად ჩაენაცვლებინა ანტიბიოტიკების მოხმარება. აღნიშნულის შედეგად ბროილერებისთვის წარმოების პირველივე დღიდან ხდებოდა ბაქტერიოფაგების მიცემა. ეს არის მეთოდი, რომლის გამოყენებაც ჯგუფმა დაიწყო ფერმებში. ექსპერიმენტის შედეგად მალე გამოჩნდა, რომ ფაგების მიცემამ გამოიწვია ბროილერების იმუნური სისტების დაქვეითება, სავარაუდოდ რეაქციაში შევიდა ვაქცინაციასთან და დაცემის კოეფიციენტი გახდა გაცილებით მაღალი 20%, ვიდრე ჩვეულებრივი ვაქცინაციისას 5-6%. ამიტომ, ჯგუფმა შეწყვიტა ექსპერიმენტი და გადავიდა ბაქტერიოფაგის გამოყენებაზე 25-ე დღიდან. აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგად დანაკარგმა შეადგინა 1,477 ათასი ლარი.

24. წმინდა ფინასური ხარჯი/შემოსავალი

'000 ლარი	**2018**	**2017**
საპროცენტო შემოსავალი	150	40
სესხების გადაფასების შედეგი	-	22
ფინანსური შემოსავალი	150	**62**
	-	
საპროცენტო ხარჯი	(2,114)	(1,530)
სახელმწიფო სუბსიდიები	958	625
ფინანსური ხარჯი	**(1,157)**	**(905)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	**(1,007)**	**(843)**

*სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საპროცენტო ხარჯი ჯგუფს სესხი აღებული აქვს შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, რომელიც ინცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ხოლო განხორციელებულია სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ. პროექტის მიზანია აგროსასურსათო პროუდქციის წარმოება, დამუშავება, შენახვა და გაყიდვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე იაფი, ხელმისაწვდომი გრძელვადიანი და შეღავათიანი სახსრების უზრუნველყოფით. სააგენტო უზრუნველყოფს სესხის პროცენტის თანადაფინანსებას ბენეფიციართან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სახელმწიფო პროგრამის მიხედვით ჯგუფი ვალდებულკი იყო შეეძინა ძითადი საშუალებები სესხის მიღებისთანავე. ჯგუფმა შეასრულა ყველა ვალდებულება.

25. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

26. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. ჯგუფმა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი;
  - სავალუტო რისკი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1,070	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,265	6,912
გაცემული სესხები	2,348	609
მთლიანი ფინანსური აქტივები	**9,683**	**7,915**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,404	4,857
შვილობილი კომპანიების შეძენისთვის გადასახდელი ვალდებულებები	1,708	2,043
მიღებული სესხები	19,903	23,940
მთლიანი ფინანსური ვალდებულები	**27,015**	**30,840**

(iii) რისკების მართვის სტრუქტურა

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება ჯგუფზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1,070	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,265	6,912
გაცემული სესხები	2,348	609
სულ ფინანსური აქტივები	**9,683**	**7,915**

(iv) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფისის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

ჯგუფის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია ჯგუფის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 წლის დასაწყისში ასევე 2018 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. ჯგუფს აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია ჯგუფს საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, ჯგუფი დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული ფა ფულის ექვივალენტები	1,070	-	-	1,070
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,265	-	-	6,265
გაცემული სესხები	157	2,191	-	2,348
აქტივები31.12.2018	**7,697**	**1,685**	**-**	**9,683**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,404	-	-	5,404
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	511	1,197	-	1,708
მიღებული სესხები	5,683	-	14,220	**19,903**
ვალდებულებები 31.12.2018	**11,598**	**1,197**	**14,220**	**27,015**
ბალანსი1.12.2018	**(3,901)**	**488**	**(14,220)**	**(17,332)**

ჯგუფის ლიკვიდურობის უარყოფითი ბალანსი შეადგენს 3,901 ათას ლარს (2017: 5,953 ათასი ლარი). მენეჯმენტის შეფასებით ლიკვიდურობის ეს მაჩვენებლი არ არის უჩვეული ბიზნესისთვის და როგორც ეს აღწერილია 30-ე განამრტებით შენიშვნაში დამფუძნებლის მიერ უკვე დაფარულია 8,444 ათასი ლარის სესხი.

ლიკვიდურობის ცხრილი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული ფა ფულის ექვივალენტები	394	-	-	394
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	6,912	-	-	6,912
გაცემული სესხები	-	609	-	609
აქტივები31.12.2017	**7,306**	**609**	**-**	**7,195**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	4,857	-	-	4,857
შვილობილი კომპანიების შესაძენად გადასახდელი ვალდებულებები	511	1,532	-	2,043
მიღებული სესხები	7,891	-	16,049	23,940
ვალდებულებები 31.12.2017	**13,259**	**1,532**	**16,049**	**30,840**

ბალანსი 31.12.2017	**(5,953)**	**(923)**	**(16,049)**	**(23,645)**

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. ჯგუფის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის განფენილობა

ვალუტის რისკის გათვალისწინებით, მენეჯმენტი განსაზღვრავს შეზღუდვას ვალუტის ზემოქმედების დონის მიხედვით და მთლიანობაში. ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკის განფენილობა იყო შემდეგი:

31 დეკემბერი 2018	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
USD	313	(14,242)	(13,929)
Euro	215	(1,326)	(1,111)
GPB	-	-	-
	528	(15,568)	(15,040)

31 დეკემბერი **2017**	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
USD	186	(16,397)	(16,211)
Euro	10	-	10
GPB	15	-	15
	211	(16,397)	(16,186)

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო კურსის გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე, რომელიც გამოიყენება ბალანსის თარიღში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი დარჩებოდა უცვლელი:

	31 დეკემბერი 2018
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	1,393
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(1,393)

ევროს 10%-ით გამყარება	111
ევროს 10%-ით გაუფასურება	(111)

	31 დეკემბერი 2017
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	1,621
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(1,621)

(vi) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს ჯგუფის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს ფიქსირებული განაკვეთით არ აღრიცხავს როგორც მოგება ან ზარალში ასახულ რეალურ ღირებულებას, ან როგორც გასაყიდად არსებულს. შესაბამისად, ანგარიშგების თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ ექნებოდა გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

27. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია ჯგუფს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო პროცესები

პერიოდულად და საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში, შესაძლოა ჯგუფის წინააღმდეგ არსებობდეს პრეტენზიები. თავისი შეფასებების საფუძველზე, ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი არ წარმოიქმნება

პრეტენზიებთან დაკავშირებით, და ამიტომ სათანადო მუხლი არ არის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

გარემოსდაცვითი საკითხები

ამჟამად საქართველოში გარემოსდაცვითი კანომდებლობა და სახელმწიფო ორგანოების პოზიცია მათ დაცვასთან დაკავშირებით მუდმივად მკაცრდება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს გარემოს დაცვის რეგულაციებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებს. რადგან ვალდებულებები განსაზღვრულია, მათი აღიარება ხდება მყისიერად. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას არსებულ ნორმატიულ აქტებში, სამოქალაქო სარჩელებთან ან კანონმდებლობის ფარგლებში ცვლილებების შედეგად არ ექვემდებარება შეფასებას, მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის არსებული სისტემის პირობებში, ხელძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით.

28. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილი ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხები	2,348	609
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	480
ხელფასები	145	70

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის განმავლობაში მფლობელმა დამატებით განახორციელა 18,631 ათასი ლარის ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

2019 წლის განმავლობაში მფლობელმა დამატებით განახორციელა 864 ათასი ლარის ფულადი შენატანი შვილობილ კომპანიებში და რის საშუალებითაც დაიფარა 2018 წლის შვილობილი კომპანიების სესხის მიმდინარე ნაწილი.

24 ივნისს მშობელმა კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 4,000 ათასი ევროს სესხებაზე, რომლითაც დაფინანსდება ბროილერების ფერმის მშენებლობა. სესხი ხელმისაწვდომი გახდება აუდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდგომ.

2019 წლის ივნისში მფლობელის მიერ დაფარულია 8,447 ათასი ლარის (ლარი:6,496 ათასი; აშშ დოლარი: 175 ათასი; ევრო: 432 ათასი) ბანკის სესხები და შესაბამისად 19 ივნისს 25,428 ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი საშუალებები მოხსნილია სესხის უზრუნველყოფიდან. ამავე პერიოდში ბანკისგან აღებულია 1,912 ათასი ლარის სესხი.

31 მაისს ძირითადი საშუალებებზე გადხდილი ავანსიდან მიღებულია 3,901 ათასი ლარის ღირებულების აქტივები. დარჩენილი ნაწილი მიღებული ინქება მას შედმგომ როდესაც დასრულდება ფერმის მშენებლობა

2019 წლის 12 აპრილს, მშობელმა კომპანიამ სახელმწიფოსგან საინვესტიციო პირობით შეიძინა მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების თანახმად მშობელმა კომპანიამ უნდა მოახდინოს 500 ათასი ლარის ინვესტიცია 2020 წლამდე.

2019 წელს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულია 2,977 ათასი ლარის სესხი.

შპს ჩირინა

მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

ჯგუფის განვითარება, შედეგები და პოზიციონირება 3
ჯგუფის მომავალი განვითრების გეგმები 4
ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა 4
ჯგუფის ფილიალების საქმიანობა; 4
მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები 4
დეტალური ინფომაცია ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენაზე 4
ბაზრის შეფასება; ჯგუფის ლიკვიდურობის, საკრედიტო რისკების შეფასება 4
ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა 5

ჯგუფის განვითარება, შედეგები და პოზიციონირება

შპს „ჩირინა“ და მისი შვილობილი კომპანიები ქართულ ბაზარზე, ისევე როგორც ზოგადად სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილესი კვების პროდუქტების მწარმოებელი ჯგუფია. ჩირინამ 2010 წლიდან დაიწყო ფერმების, ქარხნების, საწარმოების მშენებლობა, 2013 წლიდან კი გამოვიდა ბაზარზე ბრენდი „ბიუ-ბიუ“-ს სახით. ამ პერიოდის განმავლობაში შპს ჩირინამ შეძლო საკუთარი თავის პოზიციონირება როგორც მოწინავე კვების პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ. ჯგუფის მთავარი პროდუქცია ქათმის ხორცია. დღეისათვის ჩირინა ხორცის წარმოების კუთხით მთავარი მოთამაშეა ბაზარზე. თუმცა ქათმის პროდუქციის გარდა ჯგუფი ასევე აწარმოებს საინკუბაციო კვერცხს; ვაშლს; ქათმის კომპოსტს; სთავაზობს დაინტერესებულ პირებს მარცვლეულის შრობის და შენახვის სერვისს. „ჩირინა“-ს ასევე აქვს ვეტერინარულ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია „სანა“, რომელიც აკრედიტირებულია ISO 17025 სტანდარტის მიხედვით.

ჯგუფის პროდუქცია სრულად წარმოებულია საქართველოში და ხარისხის მაქსიმალური კონტროლი დაცულია წარმოების თითოეულ ეტაპზე. წარმოების თითოეული რგოლი სერტიფიცირებულია ISO 22000 და HACCP სტანდარტის მიხედვით.

დღეისათვის ჯგუფის მფლობელობაშია:

- სარემონტო-სადედე და ბროილერის ფერმები
- კომბინირებული საკვები ქარხანა
- ნედლეულის საშრობი ქარხანა
- ხორცის დამუშავების საწარმო
- ინკუბატორი
- ცილოვანი საკვების ქარხანა
- წყალგამწმენდი სადგური
- ვაშლის ბაღები
- ხილის სამაცივრე კომპლექსი
- ვეტერინარულ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია "სანა“

2017 წლის 1 ივლისს შპს ჩირინამ ასევე შეიძინა 100% წილი შპს ბროილერი კ; შპს ბროილერი ლ; შპს აგრომაქს ბროილერში. აღნიშნული კომპანიები ფლობენ და ოპერირებენ ბროილერის ფერმებით. ზემოთ ხსენებული კომპანიების შეძენით შპს ჩირინამ კიდევ გაიზარდა ხორცის წარმოების შესაძლებლობა.

ჯგუფმა საქართველოში დანერგა და რეგულარულად აგრძელებს აგრარულ დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების დანერგვას. აღნიშნულისათვის „ჩირინა“ თანამშრომლობს აგრარულ დარგში ისეთ წამყვან კომპანიებთან როგორიცაა Agrotop, Rosal, Chief Industries, Meyn, Nijhuis, Hatchtech, Haarslev, CMC Industries.

წარმოების განვითარებასთან ერთად ჯგუფის უმთავრესი პრიორიტეტი გარემოზე ზრუნვაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფი ახორციელებს უნარჩენო საწარმოო პროცესს. მაგალითისათვის, მეფრინველეობაში მიღებული სხვადასხვა ტიპის ნარჩენებიდან შეიძლება გამოვყოთ ქათმის ნაკელი. ფრინველის გამოზრდის ციკლის დასრულების შემდეგ ქათმის ნაკელი გადადის სპეციალურ ნაკელსაყრელზე, სადაც ის გარდაიქმნება ორგანულ სასუქად, კომპოსტად. კომპოსტის გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებას, ამარაგებს ნიადაგს საჭირო მიკრო-ელემენტებით,

ამცირებს სასუქის გამოყენების აუცილებლობას, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატება მოსავლიანობის რაოდენობის ზრდასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

ჯგუფის მომავალი განვითრების გეგმები

ჯგუფის მიზანია აწარმოოს უმაღლესი ხარისხის კვების პროდუქტები და მოსახლეობას მიაწოდის ჯანსაღი, ადგილობრივი პროდუქცია. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოში თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების დანერგვაში და სექტორის ზოგად განვითარებაში.

ბაზარზე ლიდერი პოზიციის შენარჩუნება და ტექნოლოგიურ პროცესებში მუდმივი ინოვაციების დანერგვა არის ჯგუფის მთავარი მიმართულება. 2013 წელს შპს ჩირინამ ოპერირება დაიწყო წლიურად 6000 ტონა ხორცის წარმოებით; 2014 წელს მოხდა წარმოების 8000 ტონამდე გაზრდა; 2018 წელს კი ჯგუფმა წლიურად აწარმოა 11500 ტონა ხორცი. წარმოების გაფართოება იქნება ჯგუფის მთავარი მიზანი 2019-2020 წლებშიც. 2019-2020 წლებში ჯგუფი გეგმავს ახალი მეფრინველეობის ფერმების აშენებას და წარმოებული ცოცხალი მასის 22000 ტონამდე გაზრდას.

ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

ჯგუფი არ არის ჩართული კვლევით აქტიობებში.

ჯგუფის ფილიალების საქმიანობა;

ჯგუფს არ აქვს ფილიალები.

მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ჯგუფი წლების განმავლობაში იზრდება და ანვითარებს საკუთარ ბიზნესს. მაშტაბის ეკონომიის პრინციპების გამოყენებით (2014 და 2016 წლებში წარმოების გაფართოება) რეგულარულად ცდილობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. აღნიშნული ეფექტი განსაკუთრებულად არ არის გამოხატული 2017 წელს. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემოსავლების ზრდა მოხდა მხოლოდ 4%-ით. ჯგუფის ძირითადი საშუალებები წამოადგენენ აქტივების უმთავრეს ნაწილს, შესაბამისად, ჯგუფის ცვეთა არის მაღალი; მაგალითად 2018 წელს ცვეთა წარმოადგენდა 16,659 ათას ლარს. აქედან გამომდინარე ჯგუფს აქვს ზარალი. თუმცა შპს ჩირინა გეგმავს 2020 ფერმების დამატებას. დამატებითი ფერმები ჯგუფის საშუალებას მისცემს კიდევ უფრო ეფექტურად მოახდინოს არსებული ქარხნების, საწარმოების გამოყენება.

ჯგუფს დასაქმებული ყავს 400 ადამიანი. დასაქმებული ადამიანების უმეტესობა ადგილობრივი რაიონების მაცხოვრებელია, რაც რეგიონულ განვითარებაში დადებით როლს თამაშობს.

დეტალური ინფომაცია ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენაზე

2018 წელს ჯგუფს არ შეუძენია საკუთარი აქციები

ბაზრის შეფასება; ჯგუფის ლიკვიდურობის, საკრედიტო რისკების შეფასება

შპს ჩირინა აწარმოებს როგორც ნედლ ასევე გაყინულ პროდუქციას. პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად ახდენს საქართველოში, თუმცა ასევე ექსპორტის სახით ქათმის

ხორცი გააქვს აზერბაიჯანშიც. ექსპორტი ხორციელდება მხოლოდ წინასწარი გადახდის პირობებით.

ადგილობრივად პროდუქციის რეალიზაცია ხდება პარტნიორი კომპანია, ჯეო დისტრიბუშენ გრუპის საშუალებით. პარტნიორი სადისტრიბუციო კომპანია „ჯეო დისტრიბუშენ გრუპი" აღჭურვილია თანამედროვე სადისტრიბუციო მანქანებით. მათ აქვთ ტემპერატურული კონტროლის რეჟიმი, რაც საშუალებას აძლევს ჯგუფს „ბიუ-ბიუ"-ს პროდუქტი საქართველოს ნებისმიერ სავაჭრო ობიექტებამდე უსაფრთხოდ მიიტანოს.

პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისთ ჯგუფის მთავარი ორიენტირია ნედლი პროდუქციის რეალიზაცია. გარდა იმისა რომ ნედლი პროდუქცია ხარისხობრივად ჯობია გაყინულს, ნედლი პროდუქციის რეალიზაცია ჯგუფისთვის საინტერესოა ფინანსური ლიკვიდურობის კუთხითაც, ვინაიდან საკრედიტო ლიმიტი ნედლი ხორცის შემთხვევაში არის 7 დღე, მაშინ როცა გაყინულის შემთხვევაში 40 დღე. ნედლი ხორცის რეალიზაციის გაზრდის მიზნით ჯგუფს განთავსებული აქვს სარეალიზაციო ჯიხურები და მაღაზიები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორში. „ბიუ-ბიუ"-ს ბრენდირებულ ჯიხურებში ქათმის სათანადოდ შესანახად და გასაყიდად საუკეთესო პირობებია შექმნილი.

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა

მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა- ხორცის პროდუქციაზე და ზოგადად პროტეინზე მოხმარების ზრდა კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობასთან და გადახდისუნარიანობასთან. მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის მხრივ ჩვენ გაუმჯობესებას ვერ ვხედავთ, თუმცა ვინაიდან ქათმის ხორცი არის ყველაზე იაფი ხორცი ვთვლით, რომ ბაზარმა უნდა შეძლოს გაზრდილი მოცულობების ათვისება. ამავდროულად აქტიურად ვმუშაობთ საექსპორტო ბაზრების ათვისებაზეც, შესაბამისად, ჩირინას წარმოების ზრდის გეგმები პროდუქციის ექსპორტის მატებასთანაცაა დაკავშირებული.

ვალუტის რისკი-ჯგუფი შესყიდვების ნაწილს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ვალუტის კიდევ გაუფასურების შემთხვევაში არსებობს რისკი პოტენციური ზარალის შესახებ. თუმცა ვინაიდან წარმოების მთლიანი ციკლი საქართველოშია, ნედლეულის ძირითად ნაწილს (სიმინდი, ხორბალი) ლარში ვყიდულობთ, ვფიქრობთ, რომ სავალუტო რისკს ჯგუფისთვის დიდი ეფექტი არ უნდა ქონდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ვალუტის რისკის მინიმიზაციის მიზნით და ბაზრის დივერსიფიცირებისთვის ჯგუფი აქტიურად მუშაობს პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე.

შპს ჩირინა

მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

ჯგუფის განვითარება, შედეგები და პოზიციონირება 3
ჯგუფის მომავალი განვითრების გეგმები 4
ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა 4
ჯგუფის ფილიალების საქმიანობა; 4
მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები 4
დეტალური ინფომაცია ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენაზე 4
ბაზრის შეფასება; ჯგუფის ლიკვიდურობის, საკრედიტო რისკების შეფასება 4
ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა 5

ჯგუფის განვითარება, შედეგები და პოზიციონირება

შპს „ჩირინა“ და მისი შვილობილი კომპანიები ქართულ ბაზარზე, ისევე როგორც ზოგადად სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილესი კვების პროდუქტების მწარმოებელი ჯგუფია. ჩირინამ 2010 წლიდან დაიწყო ფერმების, ქარხნების, საწარმოების მშენებლობა, 2013 წლიდან კი გამოვიდა ბაზარზე ბრენდი „ბიუ-ბიუ“-ს სახით. ამ პერიოდის განმავლობაში შპს ჩირინამ შეძლო საკუთარი თავის პოზიციონირება როგორც მოწინავე კვების პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ. ჯგუფის მთავარი პროდუქცია ქათმის ხორცია. დღეისათვის ჩირინა ხორცის წარმოების კუთხით მთავარი მოთამაშეა ბაზარზე. თუმცა ქათმის პროდუქციის გარდა ჯგუფი ასევე აწარმოებს საინკუბაციო კვერცხს; ვაშლს; ქათმის კომპოსტს; სთავაზობს დაინტერესებულ პირებს მარცვლეულის შრობის და შენახვის სერვისს. „ჩირინა“-ს ასევე აქვს ვეტერინარულ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია „სანა“, რომელიც აკრედიტირებულია ISO 17025 სტანდარტის მიხედვით.

ჯგუფის პროდუქცია სრულად წარმოებულია საქართველოში და ხარისხის მაქსიმალური კონტროლი დაცულია წარმოების თითოეულ ეტაპზე. წარმოების თითოეული რგოლი სერტიფიცირებულია ISO 22000 და HACCP სტანდარტის მიხედვით.

დღეისათვის ჯგუფის მფლობელობაშია:

- სარემონტო-სადედე და ბროილერის ფერმები
- კომბინირებული საკვები ქარხანა
- ნედლეულის საშრობი ქარხანა
- ხორცის დამუშავების საწარმო
- ინკუბატორი
- ცილოვანი საკვების ქარხანა
- წყალგამწმენდი სადგური
- ვაშლის ბაღები
- ხილის სამაცივრე კომპლექსი
- ვეტერინარულ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია "სანა“

2017 წლის 1 ივლისს შპს ჩირინამ ასევე შეიძინა 100% წილი შპს ბროილერი კ; შპს ბროილერი ლ; შპს აგრომაქს ბროილერში. აღნიშნული კომპანიები ფლობენ და ოპერირებენ ბროილერის ფერმებით. ზემოთ ხსენებული კომპანიების შეძენით შპს ჩირინამ კიდევ გაიზარდა ხორცის წარმოების შესაძლებლობა.

ჯგუფმა საქართველოში დანერგა და რეგულარულად აგრძელებს აგრარულ დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების დანერგვას. აღნიშნულისათვის „ჩირინა“ თანამშრომლობს აგრარულ დარგში ისეთ წამყვან კომპანიებთან როგორიცაა Agrotop, Rosal, Chief Industries, Meyn, Nijhuis, Hatchtech, Haarslev, CMC Industries.

წარმოების განვითარებასთან ერთად ჯგუფის უმთავრესი პრიორიტეტი გარემოზე ზრუნვაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფი ახორციელებს უნარჩენო საწარმოო პროცესს. მაგალითისათვის, მეფრინველეობაში მიღებული სხვადასხვა ტიპის ნარჩენებიდან შეიძლება გამოვყოთ ქათმის ნაკელი. ფრინველის გამოზრდის ციკლის დასრულების შემდეგ ქათმის ნაკელი გადადის სპეციალურ ნაკელსაყრელზე, სადაც ის გარდაიქმნება ორგანულ სასუქად, კომპოსტად. კომპოსტის გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებას, ამარაგებს ნიადაგს საჭირო მიკრო-ელემენტებით,

ამცირებს სასუქის გამოყენების აუცილებლობას, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატება მოსავლიანობის რაოდენობის ზრდასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

ჯგუფის მომავალი განვითრების გეგმები

ჯგუფის მიზანია აწარმოოს უმაღლესი ხარისხის კვების პროდუქტები და მოსახლეობას მიაწოდის ჯანსაღი, ადგილობრივი პროდუქცია. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოში თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების დანერგვაში და სექტორის ზოგად განვითარებაში.

ბაზარზე ლიდერი პოზიციის შენარჩუნება და ტექნოლოგიურ პროცესებში მუდმივი ინოვაციების დანერგვა არის ჯგუფის მთავარი მიმართულება. 2013 წელს შპს ჩირინამ ოპერირება დაიწყო წლიურად 6000 ტონა ხორცის წარმოებით; 2014 წელს მოხდა წარმოების 8000 ტონამდე გაზრდა; 2018 წელს კი ჯგუფმა წლიურად აწარმოა 11500 ტონა ხორცი. წარმოების გაფართოება იქნება ჯგუფის მთავარი მიზანი 2019-2020 წლებშიც. 2019-2020 წლებში ჯგუფი გეგმავს ახალი მეფრინველეობის ფერმების აშენებას და წარმოებული ცოცხალი მასის 22000 ტონამდე გაზრდას.

ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

ჯგუფი არ არის ჩართული კვლევით აქტიობებში.

ჯგუფის ფილიალების საქმიანობა;

ჯგუფს არ აქვს ფილიალები.

მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ჯგუფი წლების განმავლობაში იზრდება და ანვითარებს საკუთარ ბიზნესს. მაშტაბის ეკონომიის პრინციპების გამოყენებით (2014 და 2016 წლებში წარმოების გაფართოება) რეგულარულად ცდილობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. აღნიშნული ეფექტი განსაკუთრებულად არ არის გამოხატული 2017 წელს. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემოსავლების ზრდა მოხდა მხოლოდ 4%-ით. ჯგუფის ძირითადი საშუალებები წამოადგენენ აქტივების უმთავრეს ნაწილს, შესაბამისად, ჯგუფის ცვეთა არის მაღალი; მაგალითად 2018 წელს ცვეთა წარმოადგენდა 16,659 ათას ლარს. აქედან გამომდინარე ჯგუფს აქვს ზარალი. თუმცა შპს ჩირინა გეგმავს 2020 ფერმების დამატებას. დამატებითი ფერმები ჯგუფის საშუალებას მისცემს კიდევ უფრო ეფექტურად მოახდინოს არსებული ქარხნების, საწარმოების გამოყენება.

ჯგუფს დასაქმებული ყავს 400 ადამიანი. დასაქმებული ადამიანების უმეტესობა ადგილობრივი რაიონების მაცხოვრებელია, რაც რეგიონულ განვითარებაში დადებით როლს თამაშობს.

დეტალური ინფომაცია ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენაზე

2018 წელს ჯგუფს არ შეუძენია საკუთარი აქციები

ბაზრის შეფასება; ჯგუფის ლიკვიდურობის, საკრედიტო რისკების შეფასება

შპს ჩირინა აწარმოებს როგორც ნედლ ასევე გაყინულ პროდუქციას. პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად ახდენს საქართველოში, თუმცა ასევე ექსპორტის სახით ქათმის

ხორცი გააქვს აზერბაიჯანშიც. ექსპორტი ხორციელდება მხოლოდ წინასწარი გადახდის პირობებით.

ადგილობრივად პროდუქციის რეალიზაცია ხდება პარტნიორი კომპანია, ჯეო დისტრიბუშენ გრუპის საშუალებით. პარტნიორი სადისტრიბუციო კომპანია „ჯეო დისტრიბუშენ გრუპი" აღჭურვილია თანამედროვე სადისტრიბუციო მანქანებით. მათ აქვთ ტემპერატურული კონტროლის რეჟიმი, რაც საშუალებას აძლევს ჯგუფს „ბიუ-ბიუ"-ს პროდუქტი საქართველოს ნებისმიერ სავაჭრო ობიექტებამდე უსაფრთხოდ მიიტანოს.

პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისთ ჯგუფის მთავარი ორიენტირია ნედლი პროდუქციის რეალიზაცია. გარდა იმისა რომ ნედლი პროდუქცია ხარისხობრივად ჯობია გაყინულს, ნედლი პროდუქციის რეალიზაცია ჯგუფითვის საინტერესოა ფინანსური ლიკვიდურობის კუთხითაც, ვინაიდან საკრედიტო ლიმიტი ნედლი ხორცის შემთხვევაში არის 7 დღე, მაშინ როცა გაყინულის შემთხვევაში 40 დღე. ნედლი ხორცის რეალიზაციის გაზრდის მიზნით ჯგუფს განთავსებული აქვს სარეალიზაციო ჯიხურები და მაღაზიები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორში. „ბიუ-ბიუ"-ს ბრენდირებულ ჯიხურებში ქათმის სათანადოდ შესანახად და გასაყიდად საუკეთესო პირობებია შექმნილი.

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა

მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა- ხორცის პროდუქციაზე და ზოგადად პროტეინზე მოხმარების ზრდა კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობასთან და გადახდისუნარიანობასთან. მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის მხრივ ჩვენ გაუმჯობესებას ვერ ვხედავთ, თუმცა ვინაიდან ქათმის ხორცი არის ყველაზე იაფი ხორცი ვთვლით, რომ ბაზარმა უნდა შეძლოს გაზრდილი მოცულობების ათვისება. ამავდროულად აქტიურად ვმუშაობთ საექსპორტო ბაზრების ათვისებაზეც, შესაბამისად, ჩირინას წარმოების ზრდის გეგმები პროდუქციის ექსპორტის მატებასთანაცაა დაკავშირებული.

ვალუტის რისკი-ჯგუფი შესყიდვების ნაწილს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ვალუტის კიდევ გაუფასურების შემთხვევაში არსებობს რისკი პოტენციური ზარალის შესახებ. თუმცა ვინაიდან წარმოების მთლიანი ციკლი საქართველოშია, ნედლეულის ძირითად ნაწილს (სიმინდი, ხორბალი) ლარში ვყიდულობთ, ვფიქრობთ, რომ სავალუტო რისკს ჯგუფისთვის დიდი ეფექტი არ უნდა ქონდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ვალუტის რისკის მინიმიზაციის მიზნით და ბაზრის დივერსიფიცირებისთვის ჯგუფი აქტიურად მუშაობს პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე.